

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



ინა გოგელაშვილი

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს  
„თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი, 2020

## ანოტაცია

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები. როგორცაა, ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით და მათი აღრიცხვის თავისებურებების მიმოხილვა. ასევე, განხილულია კორონა ვირუსის გავლენა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე და კომერციული ბანკებში მათი აღრიცხვის საკითხები.

ეკონომიკური ზრდა და შესაბამისად, ქვეყნის ცხოვრების დონის ამაღლება პირადაპირ კავშირშია ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარებასთან. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ ბერკეტს წარმოადგენენ ძლიერი კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა წარმატებაშიც დიდი წვლილი შეაქვს ინვესტიციების მოზიდვას, ფასიანი ქაღალდების მეშვეობით.

ნაშრომში ასახულია, თუ რამდენად ცუდი გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიამ მთელს ეკონომიკაზე და შესაბამისად ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარებაზე. საქართველოში, ფულადი რესურსების მოზიდვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით განვითარებად პოზიციაზეა ამიტომ პანდემიამ, ყველაზე მეტად, განვითარებადი სფეროები დააზარალა.

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები განხილულია სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე. ნაშრომში ნათლად ჩანს თუ როგორ შეცვალა, ახალის სტანდარტის მიღებამ, ინსტრუმენტების შეფასებისა და აღიარების თავისებურებები. ბანკებმა 2018 წლის 1 იანვრიდან მიიღეს ფასს 9 ნაცვლას ბასს 39-ისა. ბანკების ანგარიშგებების მიხედვით, ახალი სტანდარტით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეფასების შემცირება შეინიშნება.

## **Annotation**

Issues of accounting for financial instruments in the example of TBC Bank and Bank Of Georgia

The master's thesis discusses the topics of accounting for financial instruments such as classifying instruments according to international financial accounting standards and reviewing their accounting characteristics.

Discussions are about the impact of the Corona virus on the financial instruments market and its accounting issues at the Commercial Bank as well. Economic growth and, consequently, raising the living standards of the country are directly related to the development of the financial instruments market. One of the determinants of the country's economic growth are strong companies and financial institutions, the success of which contributes greatly to attracting investment through securities.

The paper clearly shows how badly the Coronavirus pandemic has affected the entire economy and, consequently, the development of the financial instruments market. In Georgia, the attraction of monetary resources through the securities market is in a developing position, so the pandemic has mostly affected the developing sectors.

Issues of accounting for financial instruments are discussed in the example of TBC Bank and Bank Of Georgia . The paper clearly shows how the adoption of the new standard, the features of instrument evaluation and recognition have changed. From January 1, 2018, the banks approved IFRS 9 instead of IAS 39. According to Banks, a reduction in the value of financial instruments is observed according to the new standard.

## სარჩევი

ანოტაცია .....	2
Annotation .....	3
სარჩევი .....	4
შესავალი .....	5
თავი 1. ფინანსური ინსტრუმენტების არსი და აღრიცხვა .....	7
1.1. ფინანსური ინსტრუმენტების არსი და კლასიფიკაცია .....	7
1.2. ფინანსური აქტივების აღრიცხვა .....	18
1.3. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა .....	22
1.4 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაზე .....	26
თავი 2. წარმოებული და რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა .....	32
2.1 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა .....	32
2.2 რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა .....	41
თავი 3. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე .....	46
3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „თიბისი ბანკის“ მაგალითზე .....	46
3.2 ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე .....	58
დასკვნა .....	61
გამოყენებული ლიტერატურა .....	63
დანართი 1 .....	66
დანართი 2 .....	67

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** განვითარებულ ქვეყნებში ძალიან აქტიურად იყენებენ ფულის მოზიდვის ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სესხი. კაპიტალის ბაზარი საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული და ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელებს, ძირითადად, კომერციული ბანკები წარმოადგენენ. ამიტომ, სამაგისტრო ნაშრომში ძირითადად აქცენტი გადატანილია ბანკების მიერ ფლობილ ინსტრუმენტებზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ხელს უშლის როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების სიმცირე.

ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი საქართველოში ჯერ-ჯერობით განუვითარებელ პოზიციაზეა, რომელსაც დიდი მხარდაჭერა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. თემის აქტუალობა გამოწვეულია მისი საჭიროებით. რადგან, მყარი ეკონომიკის არსებობისთვის მნიშვნელოვანია კარგად იყოს განვითარებული კაპიტალის ბაზარი. განვითარებისთვის საჭიროა მისი არსის ზუსტად გაგება, ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის აუცილებლობის გამოკვეთა და მათი აღრიცხვის საკითხების გაანალიზება. აქედან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვასთან დაკავშირებული თავისებურებების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმა. იმის ჩვენება, თუ რამდენად შეესაბამება, საქართველოში არსებული, კომერციული ბანკების მიერ ინსტრუმენტების აღრიცხვა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. სამაგისტრო ნაშრომის მიზანმა განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ფინანსური ინსტრუმენტების სახეობების შესწავლა-გაანალიზება;
- ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარების საჭიროების წარმოჩენა;
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტსა (ფასს 9) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს (ბასს 39) შორის განსხვავებების შესწავლა;

- ახალი სტანდარტის, ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული ცვლილებების შედეგების გამოვლენა და მისი გავლენის შეფასება კომერციული ბანკების ანგარიშგებებში;
- თეორიული საკითხების შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- კორონავირუსის პანდემიის გავლენის შეფასება ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე;
- კომერციული ბანკების მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების განხილვა და ბანკის აღრიცხვის მეთოდოლოგიის შესწავლა;
- კვლევა, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ კომერციული ბანკები წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტებს რისკების დასაზღვევას;
- კომერციული ბანკების მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობის ცვლილების დინამიკის დადგენა.

**სამაგისტრო ნაშრომის საგანი და ობიექტი.** სამაგისტრო ნაშრომის საგანია ფინანსური ინსტრუმენტების ეკონომიკური ბუნებისა და მათი აღიარება-შეფასების საკითხების შესწავლა. თეორიულ საკითხებთან ერთად პრაქტიკული საკითხების მიმოხილვა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“ და სს „საქართველოს ბანკი“.

**ნაშრომში გამოყენებული მეთოდი/მეთოდები.** სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. საკითხების სიღრმისეული გაანალიზებისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური და სიტუაციური მიდგომები. ნაშრომი ეყრდნობა ფინანსური აღრიცხვისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას და სხვადასხვა ელექტრონულ-საძიებო საშუალებებს.

**ნაშრომის სტრუქტურა.** სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 69 გვერდს და შედგება: ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა და ექვსი ქვეთავისგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა და დანართი.

# თავი 1. ფინანსური ინსტრუმენტების არსი და აღრიცხვა

## 1.1. ფინანსური ინსტრუმენტების არსი და კლასიფიკაცია

ფინანსური ინსტრუმენტები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს 32 – „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ ) მიხედვით განმარტებულია შემდგენაირად: „*ფინანსური ინსტრუმენტი* არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს“.[20, განმარტებები,11]

ფინანსურ ინსტრუმენტს შესაძლოა ჰქონდეს როგორც რეალური, ასევე ვირტუალური სახე. ანუ ის შეიძლება იყოს როგორც მატერიალიზებული, ასევე არამატერიალიზებული. ფინანსურ ინსტრუმენტი, რომელსაც არ გააჩნია რეალური სახე ის ინახება ფინანსური ინსტრუმენტების რეესტრში. ის იურიდიული ხელშეკრულებაა, რომელსაც ფულადი ღირებულება გააჩნია. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების ფორმა, რადგან აქტივები ან ვალდებულებები, რომელთაც არ აქვთ კონტრაქტის სახე, არ წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტს. ფინანსური ინსტრუმენტი, ხელშეკრულების ერთ მხარეს აკისრებს ვალდებულებას:

- გადასცეს მეორე მხარეს თანხა ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტი;
- ან გაცვალოს პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით, მეორე მხარესთან.

ასევე, მეორე მხარეს გადასცემს სახელშეკრულებო უფლებას:

- მიიღოს პირველი პირისგან თანხა ან ფინანსური ინსტრუმენტი;
- ან გაცვალოს ინსტრუმენტი, პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით, პირველ მხარესთან.

ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ ითვალისწინებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვისა ახალ მოთხოვნებს. ის ძალაშია 2013 წლის 1 იანვრიდან და 2010 წლიდან ნელნელა ანაცვლებდა ბასს 39-ს („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“). ამ სტანდარტია ადრეული მიღება მნიშვნელოვანია, რადგან

ფინანსური ინსტრუმენტების არსის სრულყოფილად გაგებისთვის აუცილებელია მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია, გაზომვა, აღიარება და ა.შ.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას ვახდენთ შემდეგნაირად:

- ❖ ფინანსური აქტივი;
- ❖ ფინანსური ვალდებულება;
- ❖ წილობრივი ინსტრუმენტი.
- ✓ ფინანსურ აქტივებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ტიპის აქტივები:
- ❖ **ფულადი სახსრები-** ფულად სახსრებს განეკუთვნება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე. ასეთი ტიპის აქტივები არიან მაღალლიკვიდური და მოკლევადიანი ინვესტიციები. ფულადი სახსრების გადაცვლა კომპანიას შეუძლია მაშინ, როდესაც ის მოისურვებს. ფულადი სახსრების ფლობა კომპანიისთვის არის მომგებიანი რადგან დაკავშირებულია ძალიან დაბალი რისკთან. რისკის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია, რადგან ის პირდაპირ კავშირშია შემოსავლიანობის დაკარგვასთან ან ფინანსურ დანაკარგთან;
- ❖ **სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები-** წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ისეთ აქტივს, რომელიც ადასტურებს მისი მესაკუთრის წილს რომელიმე საწარმოში. წილობრივი ინსტრუმენტების სახეებია: არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციები და პრივილეგირებული აქციები. *ჩვეულებრივი აქციის* მფლობელს ენიჭება ყველა ქონებრივი უფლება, როგორცაა მოგების სიდიდის მიხედვით დივიდენდის მიღება და აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემა. პრივილეგირებული აქციის მფლობელს აქვთ უფლება მიიღონ დივიდენდი ფიქსირებული განაკვეთით. მათი პრივილეგირებული ხასიათი კი გამოიხატება ლიკვიდაციის მომენტში, რადგან კომპანიის ქონება ლიკვიდაციისას პირველ რიგში ნაწილდება პრივილეგირებული აქციების მფლობელებზე;
- ❖ **საწარმოს სახელშეკრულებო უფლება-** აღნიშნული ფინანსური აქტივი ანიჭებს კომპანიას უფლებას, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღოს სხვა



კომპანიისგან ფული ან სხვა აქტივი. ასევე, შესაძლებელია მეორე მხარეს გაუცვალოს, ხელსაყრელი პირობებით, მის ხელთ არსებული აქტივები.

საწარმოს სახელშეკრულებო უფლებას შესაძლოა მივაკუთვნოთ სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც წარმოიქმნება სხვა საწარმოსათვის პროდუქციის მიწოდებითა თუ მომსახურების გაწევით. ასევე, მისაღები თამასუქები, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი მოთხოვნისგან. განმასხვავებელი ნიშანი კი მდგომარეობს შემდეგში, გადამხდელი დებს წერილობით პირობას, რომ ის დაფარავს ვალდებულებას მოთხოვნისთანავე ან წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. სახელშეკრულებო უფლებას მიეკუთვნებიან სესხები და ობლიგაციებიც. ობლიგაცია შინაარსით წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც ადასტურებს სასესხო დამოკიდებულებას მის მფლობელსა და მეორე მხარეს შორის. მფლობელ საწარმოს აქვს შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, მიიღოს ობლიგაციაზე აღნიშნული ნომინალური ღირებულება და პროცენტი განსაზღვრული პერიოდულობით.

❖ ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით- ასეთი ფინანსური ინსტრუმენტი შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც წარმოებულ, ასევე არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს. აღნიშნული აქტივის ანაზღაურება შეუძლებელია ნაღდი ფულით ან სხვა აქტივით, მისი ანაზღაურება უნდა მოხდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობით.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივების სრულყოფილად შევისწავლოთ, აუცილებელია მათი კლასიფიკაცია. **ფასს 9-ის** მიხედვით, კლასიფიკაციას ვახდენთ შემდეგი ორი ფაქტორის საფუძველზე. ესენია:

1. საწარმოს ბიზნესმოდელი, რომლებიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის;
2. ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები (SPPI).

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელების შეფასება ფუნდამენტურია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისთვის. ის წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის იმ გზას, რომელსაც იყენებს საწარმოს მენეჯმენტი თავის ბიზნესში აქტივების განკარგვისთვის. საწარმომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგია, თუ როგორ განკარგავს საკუთარ აქტივებს. ეს სტრატეგია უნდა იყოს ბიზნესმოდელთან თანხვედრაში და ყველა მის ხელთ არსებული ფაქტორის გათვალისწინებით შემუშავებული. საწარმოს უნდა გააჩნდეს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც აქტივების სწორად განკარგვაში დაეხმარება. ასეთია:

- ✓ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და უმაღლესი ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- ✓ რისკებისა და მათი გავლენის შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილ ინსტრუმენტებთან.

აქტივები უნდა შეკრიბოს ცალკეულ ჯგუფებში, ბიზნესმოდელებში, რომლებიც კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის იქნება განკუთვნილი. განსხვავებულ ბიზნეს სუბიექტებს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა რაოდენობის ბიზნესმოდელი. შესაძლოა, საწარმო ყველა ფინანსურ აქტივს ერთ ბიზნეს მოდელში აერთიანებდეს, თუმცა მეორე საწარმოსთვის მნიშვნელოვანი იყოს ფინანსური აქტივების პორტფელის რამდენიმე ბიზნესმოდელში გადანაწილება.

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცა განისაზღვრება თავდაპირველი აღიარების საფუძველზე, ხოლო ხელახალი კლასიფიკაცია დასაშვებია მხოლოდ ერთეულის ბიზნესმოდელის შეცვლისას. თუმცა აღნიშნული ფაქტი იშვიათად ხდება. რეკლასიფიკაციის მაგალითი, როდესაც ამორტიზებული ღირებულებიდან ბიზნეს ერთეული გადადის რეალურ ღირებულებაზე, შესაძლოა იყოს იპოთეკური ბიზნესის დახურვა. საწარმოს აქტიურად ახდენს იპოთეკური პორტფელის გაყიდვას და აღარ აგრძელებს ახალ ბიზნესს. რეკლასიფიკაციისას, ახალი ბიზნესმოდელის გამოყენება ხდება ცვლილების შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან.

მაგალითად, როდესაც ერთეულ A-ს აქვს ერთზე მეტი ბიზნეს-მოდელი, მას შესაძლოა ჰქონდეს საცალო საბანკო ბიზნესი, რომლის მიზანია მისი აქტივების შეგროვება სასესხო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებით. აგრეთვე, სუბიექტს A-ს შესაძლოა ჰქონდეს საინვესტიციო საბანკო ბიზნესი, რომლის მიზანია საწარმოში ცვლილებების განხორციელება და სასესხო აქტივების გაყიდვა, მათი ვადის ამოწურვამდე.[27, მაგალითი 5-3]

საწარმოს მენეჯმენტმა, თავისი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, შესაძლოა, საკუთარი აქტივები გააერთიანოს შემდეგ კატეგორიებში:

- ფლობდეს ფინანსურ აქტივებს და შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრები (Hold To Collect –HTC);
- გაყიდოს საკუთარი აქტივები;
- ორივე, შეაგროვოს და გაყიდოს.

**ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტი (SPPI Test)**- ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტის მიზანია პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვას, ითვალისწინებს თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობა მისგან მხოლოდ ძირითადი და საპროცენტო თანხის მიღებას.

აღნიშნული ფაქტორის სწორად გასაგებად მნიშვნელოვანია განვიხილოთ სესხის ძირისა და პროცენტის მნიშვნელობები.

„ ა) ძირი თანხა არის ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას.

ბ) პროცენტი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. „[4, პ.4.1.3]

ისეთი სახელშეკრულებო შეთანხმებები, რომლისგანაც საწარმომ შესაძლოა მიიღოს ძირითადი და ძირითადის დაუფარავი ნაწილის პროცენტი, იგივეა რაც საბაზისო სასესხო შეთანხმება. პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია ფულის დროითი ღირებულება და მის მიღებასთან დაკავშირებული რისკი. ასევე, პროცენტზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დანახარჯები, რომლის ანაზღაურებაც უწევს საწარმოს, როგორცაა ადმინისტრაციული დანახარჯები.

თუ ადგილი ექნება სიტუაციას, როდესაც სუბიექტს აქვს სესხი ნულოვანი პროცენტით და ფიქსირებული დაფარვის პირობით. საწარმო A სესხით უზრუნველყოფს შვილობილ საწარმოს B. შვილობილი B-ს ფინანსურ ანგარიშგებაში სესხი კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულება და აქვს შემდეგი პირობები:

- ნულოვანი პროცენტი;
- ძირითადი ანაზღაურდება შვილობილი საწარმოს მიერ მოთხოვნისთანავე.

საინტერესოა, შეესაბამება თუ არა სესხი SPPI-ს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დამახასიათებელ ტესტს. ამ შემთხვევაში, შეესაბამება რადგან პირობები ითვალისწინებს სესხის ძირითადი თანხის დაფარვას მოთხოვნის შესაბამისად.[19]


იმ შემთხვევაში, როდესაც სესხს აქვს მოგებასთან დაკავშირებული ელემენტების ხასიათი შესაძლოა გვექონდეს შემდეგი სიტუაცია. ერთეული D სესხს აძლევს ერთეულ E-ს 500 მლნ დოლარის ოდენობით, ხუთი წლის განმავლობაში, საპროცენტო განაკვეთი 5%.

ერთეული E სესხს იყენებს მიწის შესასყიდად და გასაყიდი საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად. 5 პროცენტის გარდა, სუბიექტს D-ს ექნება უფლება მიიღოს პროექტიდან საბოლოო წმინდა მოგების 10%.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში სესხი არ შეესაბამება SPPI-ს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დამახასიათებელ ტესტს. მოგებასთან დაკავშირებული ელემენტი ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ ასახავს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდევინებას, რომელიც მხოლოდ ფულის და საკრედიტო რისკის დროს

ღირებულებას მოიცავს. D ობიექტი აღრიცხავს სესხს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით.[19]

ფინანსური აქტივების დეტალური კლასიფიკაცია იმიტომ მოვახდინეთ, რომ ის საფუძვლად უდევს მათ შეფასებას. აქტივების შეფასება კი შეგვიძლია შემდეგნაირად: (ილუსტრაცია 1)



იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით საჭიროა შესრულდეს შემდეგი პირობები: [4, პ. 4.1.2]

- საწარმო უნდა იყენებდეს ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა ფულადი ნაკადების მიღებისთვის;
- ფულადი ნაკადების მიღება უნდა მოხდეს განსაზღვრულ თარიღში, რომელიც მოიცავს მხოლოდ ძირ თანხასა და ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის პროცენტს.

ისეთი ფინანსური აქტივების ფლობა, რომელიც არ არის გასაყიდად გამიზნული, საწარმოს სჭირდება ფულადი ნაკადების გენერირებისთვის. შესაძლოა, საწარმოს

მიზნად ჰქონდეს ფინანსური აქტივების ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ არ არის აუცილებელი ის ჰქონდეს ვადის გასვლამდე. შესაძლოა საწარმომ გაყიდოს აქტივი, მაგრამ მისი მოქმედება მაინც შეესაბამებოდეს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, როგორცაა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება. ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება ფინანსური აქტივის გაყიდვა საკრედიტო რისკის ზრდის შემთხვევაში. როგორც უკვე ავლინებ, რისკის ფაქტორი უდიდეს გავლენას ახდენს საწარმოს გადაწყვეტილებებში. გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეაჯეროს მომავალზე ორიენტირებული, გონივრული საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელიც დამყარებული იქნება ღირებულ ინფორმაციაზე. ფინანსური აქტივის გაყიდვა, რომელიც აღარ აკმაყოფილებს საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკით გათვალისწინებულ საკრედიტო ხარისხის კრიტერიუმებს, წარმოადგენს საკრედიტო რისკის ზრდის გამო ფინანსური აქტივების გაყიდვის ერთ-ერთ მაგალითს.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი შეფასდეს **რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით** უნდა შესრულდეს პირობები:

- საწარმო უნდა იყენებდეს ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა როგორც ფულადი ნაკადების მიღებისთვის ასევე აქტივების გაყიდვა;
- ფულადი ნაკადების მიღება უნდა მოხდეს განსაზღვრულ თარიღში, რომელიც მოიცავს მხოლოდ ძირ თანხასა და ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის პროცენტს.

ზემოთხსენებული შემთხვევისგან განსხვავებით, არსებობენ საწარმოები, რომლებიც საკუთარი აქტივებისგან ფულად ნაკადებსაც იღებენ და დიდი ღირებულების ფინანსურ აქტივებსაც ყიდიან, ხშირი პერიოდულობით.

არის შემთხვევები, როდესაც მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია) ფინანსურ აქტივებს ფლობს სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების დასაფინანსებლად. მზღვეველი ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების სახით მიღებულ ფულად სახსრებს იყენებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. იმისთვის, რომ

უზრუნველყოს, რომ ფინანსური აქტივებიდან მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საკმარისი იყოს აღნიშნული ვალდებულებების დასაფარად, მზღვეველი რეგულარულად ახორციელებს ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის მნიშვნელოვან ოპერაციებს, ფინანსური აქტივების პორტფელის ხელახალი დაბალანსების მიზნით და ფულად სახსრებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საქიროების შემთხვევაში.[4, პ 4.1.4გ, მაგალითი 7]

ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევა, როდესაც ფინანსური აქტივი არ არის შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

აღნიშნული ბიზნესმოდელის გამოყენებისას, საწარმოს მიზანია აწარმოოს ფინანსური აქტივების აქტიური ყიდვა-გაყიდვა. აქტივი შეფასდება რეალური ღირებულებით და აისახება მოგება-ზარალში.

✓ „ფინანსურ ვალდებულებებს“ შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ტიპის ვალდებულებები:

- ვალდებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა სხვა საწარმოს გადაეცეს ფულადი სახსრები ან ფინანსური აქტივები. ასევე, მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაცევალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები;
- ხელშეკრულება, რომელიც შესაძლოა დაიფაროს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნებიან წარმოებული და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.“ [20, პ.11]


ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს საწარმოს დღევანდელ ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენებიდან გამომდინარე. მისი დაფარვა გამოიწვევს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის გადინებას. მარტივად რომ ვთქვათ, ვალდებულება არის პირის პასუხისმგებლობა, გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა რესურსი სხვა მხარეს. მაგალითად, ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს საბანკო სესხი, რომელს ავალდებულებს პირს გადაიხადოს სესხის ძირი მის პროცენტთან ერთად. ასევე,

ერთეულის ვალდებულება შეიძლება იყოს ვაჭრობისგან წარმოშობილი, როდესაც მომწოდებლისგან შეიძენ საქონელს საკრედიტო პირობებით.

ვალდებულება შეიძლება კლასიფიცირდეს მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად. განსხვავება მდგომარეობს დაფარვის პერიოდში. ვალდებულება, რომელიც იფარება 1 წლამდე პერიოდში არის მიმდინარე (საბანკო ოვერდრაფტი, მოკლევადიანი საბანკო სესხი, სავაჭრო გადასახადები). ხოლო ვალდებულება, რომელიც იფარება 1 წელზე მეტ დროში-გრძელვადიანი (გრძელვადიანი საბანკო სესხი). [24]

ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია საფუძვლად უდევს მის შეფასებას. ვალდებულებების შეფასება შეგვიძლია შემდეგნაირად (ილუსტრაცია 2):

ილუსტრაცია 2



ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულია ყველა ვალდებულება, გარდა:



- ისეთი ფინანსური ვალდებულებისა, რომელიც ასახულია მოგება-ზარალში და შეფასებულია რეალური ღირებულებით (წარმოებული და და ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები);
- ის ვალდებულება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემით საწარმო არ კარგავს მასზე კონტროლს და არ ხდება აღიარების შეწყვეტა;
- ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებისა. (4, პ. 4.2.1)

ვალდებულება იმ შემთხვევაში შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, როდესაც საქმე გვაქვს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ ვალდებულებებთან. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს თავიდანვე აქვს კლასიფიცირებული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული და მოგება ზარალში ასახული.

✓ წილობრივი ინსტრუმენტები

„ წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.“ [20, პ.11]

წილობრივ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები;
- არადაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები;
- ისეთი ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს ავალდებულებს, ლიკვიდაციის შემთხვევაში, გადასცეს მეორე საწარმოს საკუთარი წმინდა აქტივების პროპორციული წილი;
- პრივილეგირებული აქციები;
- ვარანტები და ოფციონები.

წილობრივი ინსტრუმენტით განისაზღვრება ინვესტორის წილი რომელიმე საწარმოს კაპიტალში. აქციები არის წილობრივი ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახე. აქციის

მფლობელი არის მეორე კომპანიის თანამფლობელი. მიუხედავად იმისა, რომ აქციების ფლობა დივიდენდის მიღებას უზრუნველყოფს ის დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთანაც. ინვესტორი საკუთარ კაპიტალს აყენებს რისკის ქვეშ, რადგან კომპანიის მდგომარეობის გაუარესება შეიძლება ცუდად აისახოს აქციების ფასზე. აქციების გაუფასურება კი დაბანდებული თანხის სრულად, ან ნაწილობრივ დაკარგვას გულისხმობს.

ნებისმიერი სახის აქცია კომპანია ემიტენტის საკუთრებაა, ის იყოფა ორ სახეობად:

- **ჩვეულებრივი აქცია-** ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს უზრუნველყოფს ხმის მიცემის შესაძლებლობით. თუმცა, თუ აქციონერთა კრებამ მიიღო საწარმოს განვითარებისა და გაფართოების გადაწყვეტილება, ჩვეულებრივი აქციის მფლობელმა შესაძლოა ვერ მიიღოს კუთვნილი დივიდენდი.
- **პრივილეგირებული აქცია-** პრივილეგირებული აქციის მფლობელებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, თუმცა გააჩნიათ უპირატესობები. დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე ნაკლებია, თუმცა მისი მფლობელები დივიდენს იღებენ რეგულარულად. ასევე, საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში დივიდენდი პირველად ნაწილდება პრივილეგირებული აქციის მფლობელებზე. [22]

აღსანიშნავია, რომ წილობრივი ინსტრუმენტების ფლობა შემოსავლის მიღებასთან ერთად დიდი რისკსაც უკავშირდება. ვინაიდან, აქციის საბაზრო ფასის ცვალებადობა საკმაოდ ხშირია.

## 1.2. ფინანსური აქტივების აღრიცხვა

აქტივების შეფასება და აღიარება საწარმოს ფუნქციონირების ფუნდამენტური საკითხია. შეფასების გარეშე ის ვერ აღიარებს აქტივსა თუ ვალდებულებას და ვერ განახორცილებს სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციას. ამიტომ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობის მონაწილე, ანუ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტს, ვალდებულია აღიაროს და შეაფასოს აქტივი თუ ვალდებულება.

ფინანსური აქტივების ემისია, შესყიდვა თუ გაყიდვა დაკავშირებულია გარკვეული სახის დანახარჯებთან. იმ დანახარჯებს, რომლებიც არ ექნებოდა საწარმოს თუ არ განახორციელებდა ზემოთხსენებულ მოქმედებებს (ემისია, შესყიდვა, გაყიდვა), გარიგების დანახარჯები ეწოდება. გარიგების დანახარჯების აღრიცხვა ორნაირად შეიძლება.

- თუ აქტივი შეფასებულია რეალური ღირებულებით, გარიგების დანახარჯები უნდა ვალიართ პერიოდის ხარჯად;
- თუ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარიგების დანახარჯი გაზრდის მის თვითღირებულებას.

როდესაც საწარმოს ეცოდინება ის გარიგების დანახარჯები, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული კონკრეტული ფინანსური აქტივის გამოშვებასთან, შეეძლება შეაფასოს ის. თავდაპირველად, აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც გულისხმობს ყიდვის ან გაყიდვის ფასს და დაკორექტირდეს გარიგების დანახარჯებით (ან დაემატოს, ან გამოაკლდეს). გარიგების დანახარჯებს მიეკუთვნება: ბროკერებისა და დილერების ანაზღაურება, საფონდო ბირჟების მოსაკრებლები. გარიგების დანახარჯებში არ შედის აქტივის ფლობის, დაფინანსებიდა და შიდა ადმინისტრაციული ხარჯები.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულების გასაგებად გამოიყენება **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი**. „ განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.“ [4, დანართი ა].

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ყველა პირობა, რომელსაც ხელშეკრულება მოიცავს, გარდა საკრედიტო ზარალისა.

ფინანსური აქტივები შესაძლოა შევავსოთ:

- ამორტიზებული ღირებულებით;
  - რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
  - რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
- **ფინანსური აქტივი- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული**

ფასს 9 მოითხოვს, რომ ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდის გამოყენებით ხდება ფინანსური აქტივის ღირებულების განსაზღვრა მისი შემენისა და დაფარვისას. შესაბამისი სხვაობა კი უნდა აისახოს მოგება-ზარალში. თავდაპირველი აღიარებისას აქტივის ამორტიზებული ღირებულება ემთხვევა მის სამართლიან ღირებულებას.

არსებობს სიტუაცია, როდესაც ფინანსურ აქტივს ვაფასებთ ამორტიზებული ღირებულებით. მაგალითად, 2019 წლის 1 სექტემბერს იანვარს, კომპანია Drive-მა 20 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა კომპანია X-ის ობლიგაციაში, ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 100 ლარი. დაფარვის ვადა 1 წელი. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 6,5%. გარიგების დანახარჯები შეადგენს მთლიანი ინვესტიციის 5%-ს. სარგებელი გადაიხდება წლის ბოლოს.[26]

მნიშვნელოვანია გავიგოთ:

- რა თანხით აისახება ობლიგაცია ფინანსურ ანგარიშგებაში?
  - რას უდრის შემენისას გადახდილი თანხა?
  - რას უდრის საპროცენტო შემოსავალი, რომელსაც ყოველთვიურად იღებს?
- ❖ თანხა, რომლითაც ინვესტიცია აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში:

რეალური ღირებულება+გარიგების დანახარჯები= 20000 +  
20000\*5%=20000+1000=21000 ლარი.

❖ შეძენისას გადახდილი თანხა = ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ღირებულება + 1 აგვისტომდე დარიცხული სარგებელი = 21000 + (20000\*6,5%\*8/12)=21000+867=21867 ლ;

❖ ყოველთვიური საპროცენტო შემოსავალი= 20000\*6,5%/12=108ლ.

ყოველთვიურად ამორტიზებადი ხარჯი= 1000/12= 83ლ.

- *ფინანსური აქტივი- რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით*

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით უნდა შესრულდეს პირობები: (4, პ. 4.1.2ა)

- საწარმო უნდა იყენებდეს ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა როგორც ფულადი ნაკადების მიღებისთვის ასევე აქტივების გაყიდვა;
- ფულადი ნაკადების მიღება უნდა მოხდეს განსაზღვრულ თარიღში, რომელიც მოიცავს მხოლოდ ძირ თანხასა და ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის პროცენტს.

- *ფინანსური აქტივი- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება/ზარალში ასახვით*

როდესაც არსებობს შემდეგი სახის სიტუაცია, კომპანია Suarez-მა, 2019 წლის 1 იანვარს, შეიძინა ხუთწლიანი ობლიგაცია 10 მილიონი ლარად. წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 6%, რაც ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთია. პროცენტი გადაიხდება ყოველწლიურად, 31 დეკემბერს. 2019 წლის 31 დეკემბერს პროცენტი მიღებულია, როგორც მოსალოდნელი იყო, მაგრამ საპროცენტო განაკვეთი ამ მომენტში არის 8%. [18]

საინტერესოა, როგორ აისახება ფინანსური აქტივის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს

თუ ობლიგაცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით და აისახოს მოგება/ზარალში. ეს მოითხოვს, ობლიგაციის ღირებულება შეფასდეს სავარაუდო საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, ოღონდ 8%-ის ფასდაკლებით:

წელი	მოსალოდნელი ფულ. ნაკადი (ლარი)	8% დისკონტ. განაკვეთი	PV (ლარი)
31.12.2020	10 მლნ*6%=600000	0.93	558000
31.12.2021	600000	0.86	516000
31.12.2022	600000	0.79	474000
31.12.2023	600000	0.74	444000
31.12.2024	600000	0.68	408000
31.12.2025	10მლნ+600000=10 600 000	0.64	6784000
<b>სულ</b>			<b>9184000</b>

2019 წლის 31 დეკემბერს, ობლიგაციის რეალური ღირებულებაა- **9 184 000** ლარი. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო ობლიგაციის რეალურ ღირებულებაშიც მოხდა ცვლილება. ვარდნა იყო 10 000 000 -9 184 000= **816000** ლარი. აღნიშნული ცვლილება აისახება მოგება-ზარალში. ასევე, მოგება-ზარალში აისახება წლიური საპროცენტო შემოსავალიც- 600 000 ლარი.

### 1.3. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა

ფინანსური ვალდებულების აღიარება და შეფასება, ისეთივე მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, როგორც ფინანსური აქტივების. ფინანსური ვალდებულების შესრულებისას სუბიექტს უწევს უარი თქვას ეკონომიკურ სარგებელზე. სარგებელში იგულისხმება ფულადი აქტივები, საკუთარი აქტივების გადაცემა ან მომსახურების გაწევა. მისი დროული დაფარვა მნიშვნელოვანია, რადგან ბაზარზე კომპანია სარგებლობდეს სანდო რეპუტაციით. როგორც წესი, საწარმოები ვალდებულები არიან სხვა მომწოდებელი საწარმოების, ბანკების თუ სახელმწიფოს მიმართ.

ფინანსურ ვალდებულებებს შესაძლოა მივაკუთვნოთ შემდეგი სახის ვალდებულებები:

- ისეთი ვალდებულება, როდესაც სხვა საწარმოს გადაეცემა ფულადი სახსრები თუ რაიმე სახის ფინანსური აქტივი;
- ისეთი ვალდებულება, როდესაც ის დაიფარება საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტით.

ფინანსური ვალდებულებები შეფასება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

- ისეთი ფინანსური ვალდებულებისა, რომელიც შეფასდება რეალური ღირებულებით და აისახება მოგება-ზარალში;
- ფინანსური გარანტიებისა;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებისა;
- ისეთი ვალდებულებებისა, როდესაც აქტივის გადაცემისას ვალდებულების აღიარება არ შეწყდება. (20, პ. 4.2.1 ბ)

ამრიგად, ვალდებულებების შეფასება შესაძლოა მოვახდინოთ შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით-
  - თამასუქები;
  - ობლიგაციები;
  - სავაჭრო დავალიანებები;
  - საბანკო სესხები.
- რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით-
  - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები;
  - კონვერტირებადი ობლიგაციები;
  - მყიდველი საწარმოს პირობითი კომპანესაცია.
- სხვა წესებით-
  - სესხის გაცემა საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალ პროცენტში;
  - ფინანსური გარანტიები. [9]
- **ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით**

ფინანსური ვალდებულებების უმეტესი ნაწილი კლასიფიცირდება და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით. ვალდებულება, რომელიც კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით, თავდაპირველად ის ფასდება სამართლიანი ღირებულებით და გათვალისწინებულია გარიგების დანახარჯები.[17]

ვივარაუდოთ, რომ შპს Laxman-მა გამოუმვა ნულოვანი კუპონის ობლიგაციები, ნომინალური ღირებულებით- 10000 ლარი. ობლიგაციის ანაზღაურება მოხდება ორი წლის შემდეგ, პრემია 1149 ლარი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 7%.

საწარმოსთვის მნიშვნელოვანია როგორ აისახება აღნიშნული ოპერაცია მის ფინანსურ ანგარიშგებაში.

Laxman იღებს ფულად სახსრებს და ვალდებულია ის დაფაროს. ამიტომ, აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება. არანაირი პირობა არ არსებობს, რომ ვალდებულება შეფასდეს რეალური ღირებულებით და აისახოს მოგება ზარალში. ამიტომ, ის აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით და გაითვალისწინება გარიგების დანახარჯები. მაგრამ, იმის გამო რომ ობლიგაციის გამოშვებასთან არანაირი დანახარჯი არ არის დაკავშირებული, ის თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით- 10000ლარით.

წელი	ღირებულება წლის დასაწყისში (ლარი)	ესგ-7%	გასაცემი თანხა(ლარი)	ბალანსი ვადის ბოლოს (ლარი)
1-ლი წელი	10000	$10000 * 7\% = 700$	0	10700
მე-2 წელი	10700	$10700 * 7\% = 749$	$10700 + 749 = 11449$	0



რადგან, პირველ წელს არ ხდებოდა თანხის გადახდა, მეორე წლის ბოლოს მოხდა ერთიანად, ამორტიზებული ღირებულებით, ვალდებულების დაფარვა.

**-რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგება-ზარალში ასახვით**

ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება რეალურ ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), თუ ის განკუთვნილია სავაჭროდ, ან საწარმოს თავიდანვე ჰქონდა ვალდებულება კლასიფიცირებული რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით და აისახება მოგება-ზარალში, თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ნებისმიერი გარიგების დანახარჯი აისახება მოგება-ზარალში.

თუ ადგილი ექნება შემდეგ შემთხვევას, 2011 წლის 1 იანვარს Swann-მა გამოსცემს სამწლიან, 5%-იან სესხს-30000 ლარი ნომინალური ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 5%. ვალდებულება კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. პირველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთია 6%. მნიშვნელოვანია, როგორ აღრიცხავს Swan სესხს ფინანსურ ანგარიშგებაში 2011 წლის 31 დეკემბრის ბოლოს.

Swan ვალდებულია დაფაროს სესხი, ამიტომ ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება FVTPL-ში. თავიდან სესხი აღიარდება 30000 ლარი სამართლიანი ღირებულებით. რადგან, არ არსებობს გარიგების დანახარჯები აღიარება ისევ იგივე დარჩება.

	ფულადი ნადავი (ლარი)	6%, ფასდაკლების ფაქტორი	PV(ლარი)
პროცენტის გადახდა 31.12.2012	1500	0.943	1415
საბოლოო პროცენტი და ძირი 31.12.2013	31500	0.89	28035

ვალდებულების სამართლიანი ღირებულება 31.12.2011			29450
---	--	--	-------

ამ კონკრეტულ შემთხვევაში 2011 წლის 31 დეკემბერს ვალდებულება შეფასდა 29450 ლარად, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო 30000 ლარად. სხვაობა- 550 ლარი წარმოადგენს მოგებას და ის აისახება მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილი გამოწვეულია საკრედიტო რისკის ცვლილებისგან, ეს სხვაობა უნდა აისახოს სხვა სრულ შემოსავლებში.

#### 1.4 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაზე

კორონავირუსის (Covid 19) პანდემია დაიწყო 2019 წლის დეკემბერში. ის სულ უფრო მასშტაბური ხდება და მისგან გამოწვეული ზარალი ძალიან აზარალებს მსოფლიოს. გარდა იმისა, რომ კორონავირუსი ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ფინანსური სექტორი ერთ-ერთი ის დარგია, რომელიც ყველაზე მეტად ზარალდება.

ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყნებმა ინდივიდუალურად გადადგეს, ინფექციის შესამცირებლად, სერიოზული შედეგები მოაქვს ფინანსურ ბაზრებსა და გლობალურ ეკონომიკაზე.

კომპანიებმა მოსალოდნელი ზარალის დონე უნდა განსაზღვრონ თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის. აუცილებელია, შემოწმდეს თითოეული ანგარიში/ხელშეკრულება და განისაზღვროს რა დონის საკრედიტო რისკთან არის დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები. ქვეყნების მთავრობებს აქვთ მიღებული დახმარების ზომები, რომელიც ითვალისწინებს სესხების საშელავათო პერიოდს, სასესხო გარანტიებს და ა.შ.

ფასს-ის რეპორტიორები შეისწავლიან ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციას, სახელმწიფო ღონისძიებებისა და ორმხრივი შეთანხმებების გავლენას მათზე. ასევე, ინსტრუმენტების შეფასების ცვლილებას.[25]

კონცეპტუალური ჩარჩოების მიხედვით, კომპანიამ უნდა მომზადოს ფინანსური ანგარიშგება ისე, რომ გათვალისწინებული ჰქონდეს ყველა შესაძლო შემთხვევა. 2019 წელს ბიზნესმა წარმოადგინა ანგარიშგება, რომელშიც გათვალისწინებული იყო გარკვეული რისკები. 2020 წლის დასაწყისში, მსოფლიო მდგომარეობის ცვლილებამ, აზრი დაუკარგა წინა წელს გათვალისწინებულ გათვალისწინებულ რისკებსა თუ შეფასებებს. ბევრი საწარმო დგას დილემის წინაშე, გააგრძელებს თუ არა ფუნქციონირებას, გადაურჩება თუ არა კრიზისს.

ფასს 9-ის მიხედვით, **საკრედიტო ზარალი** ასახავს მიუკერძოებელ და შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით. საკრედიტო ზარალი მოსალოდნელია კომპანიისთვის მაშინაც, როდესაც მასზე უშუალოდ არ უმოქმედია პანდემიას. თუმცა, შესაძლოა ემოქმედა მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე, რომელიც პირდაპირპროპორციულია კომპანიის ფუნქციონირებაზე. შედეგად, ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეიძლება იყოს ბევრად მეტი, ვიდრე კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროგნოზებით. ამიტომ, ყველა პროგნოზი რომელიც წინა წელს იყო გაკეთებული ბიზნესის მიერ არის მოძველებული და აღარ შეესაბამება რეალობას.

პანდემიის პერიოდში, მთავრობების მიერ ბიზნესების დახურვა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ყველა კომპანიისთვის, რომელიც მხოლოდ 2019 წლის ბოლოში გახდა ცნობილი. ბიზნესმა ვერ მოახერხა პროგნოზებში გაეთვალისწინებინა პანდემიის შედეგები მათ საქმიანობაზე. საწარმოებს მხოლოდ ახლა შეუძლიათ რისკების იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამისთვის უნდა იხელმძღვანელონ **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით (ECL)**.

როგორ შეიძლება გაიზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი? საკრედიტო ზარალის გაზომვა უნდა ასახავდეს:

- ალბათობის შეწონილი სიდიდე;
- ფულის დროითი ღირებულება;
- გონივრული და დამხმარე ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია განვიხილოთრა გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიამ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. ვთქვათ, კომპანია „ალფას“ ჰყავს დებიტორი, რომელიც მას უხდის 10000 ლარს-ს. დებიტორს აქვს საცალო მაღაზია და ვაჭრობს ტანსაცმლით. კორონავირუსის პანდემიის ვითარების გამო ადგილობრივმა მთავრობამ ბრძანა მაღაზიების დახურვა და მოვალემ დაკარგა შემოსავალი.

კომპანია არ გაკოტრებულა, მაგრამ ცხადია ვეღარ შეძლებს დავალიანების დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად. პანდემიური სცენარების სტატისტიკური მოდელები და დებიტორის ფინანსური ანგარიშგების შეფასება შესაძლებელია სამი სხვადასხვა სცენარით:

- ✓ **სცენარი 1-** პანდემია ერთ თვეში დასრულდება, მაღაზიები გაიხსნება და ამ შემთხვევაში კლიენტი განიცდის შემოსავლის 10%-იან შემცირებას. ეს შემცირება გავლენას არ მოახდენს დებიტორის შესაძლებლობებზე სრულად გადაიხადოს ვალდებულება, რადგან მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. ამასთან, პანდემიის სტატისტიკური მოდელები ამ განვითარების ალბათობას 10%-ით აფასებენ;
- ✓ **სცენარი 2-** პანდემიას უფრო მეტი დრო დასჭირდება და მაღაზიები 6 თვის შემდეგ გაიხსნება. ამ შემთხვევაში, კლიენტი განიცდის შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებას, მაგრამ ის კვლავ შეძლებს ანაზღაურებას და კომპანია ალფას დაუბრუნდება დებიტორული დავალიანების 30%. ამ სცენარის მოხდენის ალბათობაა 70%.
- ✓ **სცენარი 3-** პანდემია საშინელი იქნება და მაღაზიები მხოლოდ 1 წლის შემდეგ გაიხსნება. ამასთან, მოვალე გაკოტრდება, მაგრამ კომპანია ალფა შეძლებს სესხის აღებას და დავალიანების ქონების გაყიდვიდან ანაზღაურებას, მისაღები 10% -ის ოდენობით (შესაბამისად, ზარალი არის 90%). ამ სცენარის ალბათობა 20% -ია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

სცენარი	ზარალი	ალბათობა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)
სცენარი 1	0%	10%	0
სცენარი 2	30%	70%	210
სცენარი 3	90%	20%	180
სულ			390

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ყველა შესაძლო შემთხვევა. მხოლოდ სცენარი 1 და სცენარი 2 რომ გაგვეთვალისწინებინა, საკრედიტო ზარალი იქნებოდა მხოლოდ 210. თუმცა, ყველა ვარიანტის გათვალისწინებით სურათი იცვლება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკრედიტო ზარალი შეადგენს 390-ს. [29]


ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ, 2020 წლის 27 მარტს, გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც ეხმიანება კითხვებს პანდემიის პერიოდში ფასს 9-ის გამოყენების შესახებ. ის ასახავს სტანდარტის შესაბამისად კომპანიებისადმი მოთხოვნებს, თუ რა გავლენას ახდენს პანდემია მათი საკრედიტო ზარალის მოსალოდნელ აღრიცხვაზე (ECL). დოკუმენტი არ ცვლის ფასს 9-ის მოთხოვნებს, არამედ მიზნად ისახავს აღნიშნული სტანდარტის თანმიმდევრულ და ძლიერ გამოყენებას.

დოკუმენტი აღიარებს, რომ ფინანსური ინსტრუმენტებზე ECL- ს დადგენა რთულია მიმდინარე გარემოებებში. ხაზს უსვამს კომპანიების მნიშვნელობას, რომლებიც იყენებენ ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია - ისტორიული, ამჟამინდელი და პერსპექტიული თვალსაზრისით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ კომპანიებს შესაძლოა დასჭირდეთ

პროგნოზირებასთან დაკავშირებით მათი მიდგომების კორექტირება. დოკუმენტი კომპანიებს უყენებს გარკვეულ მოთხოვნებს:


- ბიზნესმა უნდა დააკორექტიროს ამ დრომდე არსებული პროგნოზები და მექანიკურად არ უნდა გააგრძელონ ძველი ECL-ის გამოყენება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა უნდა მოხდეს გონივრულ და ისეთ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც არ მოითხოვს ბევრ დროსა და ხარჯებს;
- ინფორმაცია, რომელიც სუბიექტისთვის ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე;
- ბიზნესს მოეთხოვება შეიმუშაოს შეფასებები წარსულის საუკეთესო გამოცდილებისა და ინფორმაციის საფუძველზე. გათვალისწინებული უნდა იყოს კოვიდ 19-ის გავლენები და მთავრობის რეგულაციები. საკმაოდ ცვალებადი გარემოა ბიზნესისთვის, ამიტომ უნდა მოხდეს მუდმივი მონიტორინგი და გადაწყვეტილებების მუდმივი გადახედვა;
- კომპანიებმა უნდა შეაფასონ დეფოლტის რისკის ცვლილებები, რაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ცხოვრებაში. [16] [25]

როგორც უკვე აღინიშნა, კორონავირუსის პანდემიამ არასასურველი გავლენა მოახდინა ფინანსურ ბაზრებზე. აქციების ფასი საფონდო ბირჟაზე საკმაოდ მგრძნობიარეა კრიზისებისა და ცვლილებების პერიოდში. მით უმეტეს, როდესაც ვირუსის არეალი ძალიან გაფართოვდა და მთელი მსოფლიო მოიცვა, აქციების ფასმა ძალიან დაიწია ბირჟაზე. ბლუმბერგის მონაცემებზე დაყრდნობით, თებერვლის თვიდან ყველა მნიშვნელოვანი ინდექსის კლების ტენდენცია შეინიშნება. [8]



წყარო: ბლუმბერგი, BBC

კრიზისის დროს, როდესაც კოეფიციენტები და აქციების ფასები ასე ვარდება, ინვესტორებს სურთ ფული დააბანდონ ნაკლებად სარისკო ინვესტიციებში. ყველაზე ლიკვიდურ და ნაკლებად სარისკო ინვესტიციას ოდითგანვე ოქრო წარმოადგენს, თუმცა მარტის თვიდან ოქროს ფასიც საგრძნობლად ეცემა.



წყარო: ბლუმბერგი, BBC

## თავი 2. წარმოებული და რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა

### 2.1 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტებს, გარდა მოთხოვნების, ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტებისა მიეკუთვნება წარმოებული (Derivative) ფინანსური ინსტრუმენტები. დერივატივი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გარიგების ერთ მხარეს ანიჭებს უფლება (ხელსაყრელი პირობები), მეორეს- ვალდებულებას (არახელსაყრელი პირობებით) რომ გარკვეულ დროში, მომავალში, მიაწოდოს აქტივი. აქტივი შესაძლოა იყოს- აქციები, სავალუტო ოპერაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

დერივატივების ფასი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომლებიც ზემოქმედებენ მის ცვლილებაზე. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ანგარიშსწორება ხორციელდება მომავალში. ის აქტივის მიწოდებასთან ერთად სხვა აქტივის გაყიდვის გარანტიასაც იძლევა.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დერივატივების ფასზე:

- **პირდაპირი ფაქტორები**- აქტივის ფასის ცვლილება, ეს შეიძლება იყოს ვალუტის ფასის ცვლილებაც ან რომელიმე სხვა აქტივის, საქონლის გამძირება.
- **არაპირდაპირი ფაქტორები**- საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პოლიტიკური სიტუაცია, უმუშევრობის ზრდა. ამ ყველაფერს შეუძლია გარიგების ფასის ცვლილება გამოიწვიოს. [23]

ნებისმიერ ფინანსურ ბაზარზე არის რისკის საკმაოდ დიდი მაჩვენებელი. ყველა ფინანსური ოპერაცია დაკავშირებულია რისკის მრავალ ფაქტორთან. ხშირად ამბობენ, რომ ფინანსების საყრდენია, ფულის ღირებულება დროში, აქტივების შეფასება და რისკის მენეჯმენტი. ფინანსურ სისტემაში საქონლის, მომსახურებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ბაზართან ერთად არსებობს ბაზარი, სადაც ყიდვა- გაყიდვის სუბიექტს თავად რისკი წარმოადგენს.



წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების (დერივატივების) ბაზარი საუკეთესო საშუალებაა რისკის სამართავად. წარმოებული ინსტრუმენტი, თავად სიტყვიდან გამომდინარე მიგვანიშნებს რომ მეორადია, ანუ დაკავშირებულია საბაზისო აქტივთან. ის შექმნილია რეალური პროდუქტის საფუძველზე.

წარმოებული ფასიანი ქაღალდების ხელშეკრულების ორ მხარეს წარმოადგენენ ჰეჯერები და ტრეიდერები (სპეკულანტები). ჰეჯერები დერივატივებს იყენებენ რისკის შესამსუბუქებლად. ისინი ცლილობენ საკუთარი ბიზნესი ეფექტურად მართონ და საბაზრო რისკების მინიმიზაცია მოახდინონ. რაც შეეხება ტრეიდერებს ანუ სპეკულანტებს, ისინი თავის თავზე იღებენ ძალიან დიდი რისკს, თუმცა ამ გარიგებებისგან მოელიან დიდ მოგებას. სპეკულანტებისთვის წარმოებული ფასიანი ქაღალდი არის ფსონი, ხოლო ჰეჯერებისთვის სადაზღვევო პოლისი, ის თანხა რასაც დერივატივში იხდის სადაზღვევო შენატანის ანალოგად შეგვიძლია განვიხილოთ.

მაგალითისთვის, წარმოვიდგინოთ ევროპელი ინვესტორი, რომლის საინვესტიციო ანგარიშები ევროშია გამოსახული. ეს ინვესტორი ყიდულობს ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების წილებს და ვალუტა არის აშშ დოლარი. ინვესტორი ამ აქციების ფლობისას დგას გაცვლითი კურსის ცვლილების რისკის ქვეშ. გაცვლითი კურსი წარმოადგენს საფრთხეს, რომ ევროს ღირებულება გაიზარდება აშშ დოლართან მიმართებაში. თუ ევროს ღირებულება გაიზარდა, ინვესტიცია ნაკლებად ღირებული ხდება. ამ რისკის დასაცავათ ინვესტორს შეუძლია შეიძინო დერივატივი და დააზღვიოს ვალუტის გაცვლითი კურსი.


წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, დერივატივების სახეები ნაჩვენებია ილუსტრაცია 3-ში.

### **ჰეჯირება**

ფინანსურ ბაზარზე საქმიანობისას ბიზნესი უამრავი რისკის წინაშე დგას. ისინი ცდილობენ საბაზრო რისკების მინიმუმამდე შემცირებას და მაქსიმალური შედეგის მიღებას. რისკის დაზღვევისა და შემცირებისთვის კი იყენებენ ჰეჯირებას. „ჰეჯირება“

რისკის შემცირება, თავის დაზღვევა დანაკარგებისაგან, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული პირობების არახელსაყრელი ცვლილებებით. „[18]

ილუსტრაცია 3



ფასს 9-ის მიხედვით, ის რაც რისკისგან იზღვევა, ჰეჯირების მუხლი ეწოდება. ჰეჯირებული მუხლი შეიძლება იყოს აღიარებული აქტივი ან ვალდებულება, აუღიარებელი მყარი ვალდებულება, პროგნოზირებული გარიგება ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიცია. (4,პ. 6.3.1)

ჰეჯირების მუხლთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ჰეჯირების ინსტრუმენტები, როგორებიცაა:

- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი;
- არაწარმოებული ფინანსური აქტივი;
- არაწარმოებული ფინანსური ვალდებულება.

ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს ჰეჯირებული მუხლების არასასურველი ცვლილებების დაკომპენსირება. ანუ ჰეჯირების მუხლის არის ის რასაც აზღვევს ტრეიდერი, ხოლო ჰეჯირების ინსტრუმენტია თუ რითი აზღვევს. იმ შემთხვევაში თუ აქტივი გაუფასურდა, ტრეიდერმა ეს არ უნდა იგრძნოს და უნდა მიიღოს ისეთივე სარგებელი, როგორსაც ელოდა.

არსებობს სხვადასხვა სახის ჰეჯირების სტრატეგია და თითოეული მათგანი უნიკალურია. ინვესტორებმა უნდა გამოიყენონ არა ერთი, არამედ რამდენიმე სტრატეგია ერთდროულად, რათა მიაღწიონ საუკეთესო შედეგს. განვიხილოთ რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ჰეჯირების სტრატეგია:

- **დივერსიფიკაცია**

დივერსიფიკაცია ხდება როდესაც ინვესტორი იყენებს თავის ფინანსებს ინვესტიციებში, რომლებიც არ მოძრაობს ერთი მიმართულებით. ანუ ინვესტირებას ახდენს მრავალფეროვან აქტივებში, რომლებიც ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. ასე რომ, თუ რომელიმე მათგანი მცირდება სხვა შესაძლოა გაიზარდოს. მაგალითად, ბიზნესმენი ყიდულობს აქციებს სასტუმროებიდან და კერძო საავადმყოფოებიდან. თუ ტურიზმის ინდუსტრია, სადაც სასტუმროები ფუნქციონირებენ, რისკის წინაშე დადგა და შესაძლოა დანაკარგები გამოიწვიოს, ის გავლენას არ მოახდენს სხვა ინვესტიციებზე.

- **არბიტრაჟი**

საარბიტრაჟო სტრატეგია გულისხმობს აქტივის შექმნას და დაუყოვნებლივ გაყიდვას სხვა ბაზარზე უფრო მაღალ ფასად. შესაძლოა მცირე, მაგრამ სტაბილური მოგების მიღება. სტრატეგია ყველაზე მეტად გამოიყენება საფონდო ბირჟაზე.

ამრიგად, ჰეჯირება არის საუკეთესო საშუალება ინვესტორებისთვის, რათა დაიცვან თავიანთი ინვესტიციები ფინანსურ ბაზრების უეცარი და გაუთვალისწინებელი ცვლილებებისგან.

ჰეჯირების სამი ტიპის არსებობს, ესენია:

- რეალური ღირებულების ჰეჯირება- არის აღიარებული აქტივის ან ვალდებულების , ან არაღიარებული ფორმის ვალდებულებების ან ნებისმიერი მსგავსი ნივთის კომპონენტის ცვლილების ჰეჯირება. ამ ტიპის ჰეჯირებას გამოიყენებენ მაშინ, როდესაც სჭირდებათ კონკრეტული აქტივის თუ ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილებისგან გამოწვეული არასასურველი შედეგებისგან დაცვა. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე რისკით და უნდა აისახოს მოგება-ზარალში. რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში შემდეგნაირად: [23]

აღწერა	ღებუტი	კრედიტი
<b>ჰეჯირების ინსტრუმენტი</b>		
<u>ზარალი</u> ჰეჯირების ინსტრუმენტიდან-	ზარალი ჰეჯირების ინსტრუმენტიდან	ფინანსური ვალდებულებები ჰეჯირების ინსტრუმენტიდან.
<u>მოგება</u> ჰეჯირების ინსტრუმენტიდან-	ფინანსური ვალდებულებები ჰეჯირების ინსტრუმენტიდან.	მოგება ჰეჯირების ინსტრუმენტიდან
<b>ჰეჯირების მუხლი</b>		
<u>მოგება</u> ჰეჯირების მუხლში	ჰეჯირების მუხლი	მოგება ჰეჯირების მუხლიდან
<u>ზარალი</u> ჰეჯირების მუხლში	ზარალი ჰეჯირების მუხლიდან	ჰეჯირების მუხლი

- ფულადი ნაკადების ჰეჯირება- ფულადი ნაკადების ჰეჯირება გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებობს ფულადი სახსრების მიღების რისკი. ეს რისკი შესაძლოა გამოწვეული იყოს არპროგნოზირებადი გარიგებით და დაკავშირებულია აღიარებული აქტივის ან ვალდებულების ყველა კომპონენტთან. ფულადი ნაკადების ჰეჯირება გავლენას ახდენს მოგება-ზარალზე. ასევე, ჰეჯირების

ინსტრუმენტისა და მუხლის ცვლილები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (კაპიტალში).

- **უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ჰეჯირება-** ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რისკთან. ჰეჯირების ინსტრუმენტს ექნება ან დადებითი ან უარყოფითი საკურსო სხვაობა. სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

### ***ფიუჩერსული კონტრაქტები***

ფიუჩერსული კონტრაქტები არის შეთანხმება ორ მხარეს შორის აქტივის შეძენისა და მიწოდების შესახებ, შეთანხმებულ ფასად და მომავალი თარიღით. კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობს ბირჟაზე. ტრეიდერები იყენებენ ფიუჩერსულ კონტრაქტს, რომ დაიცვათ საქონლის მიღების რისკი. ფიუჩერსული გარიგების მონაწილე მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ძირითადი აქტივის ყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება.

ფიუჩერსული კონტრაქტით ხდება ბაზარზე არსებული, არასასურველი ცვლილებებისგან, თავის დაზღვევა. ის გამოიყენება, როგორც ფასიანი ქაღალდი. ფიუჩერსული კონტრაქტის გაფორმებისას არაა სავალდებულო მთლიანი საქონლის ღირებულების გადახდა. საფონდო ბირჟა ითხოვს მხოლოდ მარჟა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 2-10%-ს შეადგენს. მარჯის გადამხდელი არის კონტრაქტის მყიდველი, თუმცა შესაძლოა ზოგჯერ გამყიდველმაც გადაიხადოს. მარჟა ემსახურება ზარალის დაფარვა, თუმცა იმ შემთხვევაში თუ არსებულმა ზარალმა გადააჭარმა შემოტანილ მარჟას, ბირჟა მოითხოვს დამატებითი თანხის შეტანას. თუ, არ მოხდა დროული გადახდა მაგ შემთხვევაში კონტრაქტი ხდება ანულირებული. ფიუჩერსების შემთხვევაში არსებობს მარტივი წესი: თუ მოსალოდნელია ფასების მომატება უნდ შევიძინოთ კონტრაქტი, თუ მოსალოდნელია ფასების კლება- გავყიდოთ.

როდესაც, ფასის ცვლილების ჰეჯირება ხდება ფიუჩერული კონტრაქტით, ადგილი შესაძლოა ჰქონდეს შემდეგნაირ სიტუაციას. 2019 წლის 6 ნოემბერს კომპანია X ყიდულობს ფიუჩერულს ხელშეკრულებას ნავთობის ფასზე 65 აშშ დოლარად ბარელზე, რომელიც იწურება 2019 წლის 19 დეკემბერს. ხელშეკრულების მეორე მხარე ვალდებულია კომპანია X-ს მიაწოდოს ნავთობი 62.22 აშშ დოლარად. ვარაუდობენ რომ ნავთობის ფასი ბარელზე გაიზრდება 90 აშშ დოლარამდე 2019 წლის 19 დეკემბრისთვის. კომპანიას სჭირდება 2000 ბარელი ნავთობი. კონტრაქტის დეპოზიტი შეადგენს 1500 აშშ დოლარს. საინტერესოა, როგორ ასახავს კომპანია X ფიუჩერული კონტრაქტის შესარულებას.

აღსანიშნავია, რომ კომპანია X იყენებს ფიუჩერულ კონტრაქტს, რადგან მას ნავთობი სჭირდება დეკემბერში მაგრამ ეშინია ფასების მომატების, რომელიც ნავარაუდებია.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, *ჰეჯირების მუხლი* არის **ფასი, ჰეჯირების ინსტრუმენტი ფიუჩერული კონტრაქტი**, ხოლო *რისკი* ფასის ცვლილება.

ფიუჩერის ყიდვა კომპანია X-სთვის აღმოჩნდა სასარგებლო, რადგან ნავთობზე ფასის მომატების პროგნოზი გამართლდა.

ნავთობის შესაძენად საჭირო თანხა *6 ნოემბრისთვის* =  $2000 * 65\$ = 130\ 000\ \$$ ;

ნავთობის შესაძენად საჭირო თანხა *19 დეკემბრისთვის* =  $2000 * 90 = 180\ 000\ \$$ .

ჰეჯირების ეფექტი არის  $100\% -$ იანი და მიღებული მოგება =  $180\ 000\ \$ - 130\ 000\ \$ = 50\ 000\ \$$ .

### ***ფორვარდული კონტრაქტები***

ფორვარდული კონტრაქტი წარმოებული ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეა. მას ყველა ის მახასიათებელი გააჩნია რას დერივატივს უნდა ჰქონდეს. ის არის კონტრაქტი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში საქონლის ყიდვა/გაყიდვას, დღევანდელი ფასით. ფორვარდული ხელშეკრულებები შეიძლება მორგებული იყოს კონკრეტულ საქონელზე, ოდენობაზე და მიწოდების თარიღზე.

ფიუჩერსული კონტრაქტისგან განსხვავებით, ფორვარდული კონტრაქტის ყიდვა/გაყიდვა არ ხდება საფონდო ბირჟაზე. კონტრაქტის პირობები შეთანხმებულია ორ კონტრაგენტს შორის.

ფორვარდული კონტრაქტების გამოყენებით შესაძლოა სხვადასხვა სცენარი განვითარდეს. ერთი შემთხვევაა, როდესაც საქონლის ღირებულება არ შეიცვლება და ფორვარდული კონტრაქტის გამოყენებას ექნება ნულოვანი ეფექტი. მეორე შემთხვევაა, როდესაც საქონლის ფასი გაიზრდება და საწარმო მიიღებს მოგებას. მესამე შემთხვევაა, როდესაც ფასი დაიკლებს და საწარმო ზარალდება.

საწარმოს აქვს შემდეგი სიტუაცია, 2019 წლის 31 აგვისტოს, ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ ფორვარდული კონტრაქტი გააფორმა, დიდი რაოდენობის ყურძნის მოწოდებაზე. ყურძნის რეალური ღირებულება იყო 40000 ლარი. კონტრაქტი შესრულდება 2020 წლის 20 იანვარს. 2019 წლის 31 დეკემბერს ყურძნის რეალური ღირებულება გახდა 45000 ლარი. კომპანიამ ივნისში სრულად გაყიდა თხილი 48000 ლარად.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰეჯირების მუხლი არის საქონელი (ყურძენი), ჰეჯირების ინსტრუმენტი ფორვარდული კონტრაქტი, ხოლო რისკს წარმოადგენს ფულადი ნაკადების ცვლილებები. [15,გვ.88]

ჰეჯირების ეფექტი არის 5000 ლარი, რადგან კომპანიამ დაზოგა 5000 ლარი ფორვარდული კონტრაქტის შედეგით. თუმცა კომერციული საქმიანობის ეფექტია 8000 ლარი, რადგან 40000 ლარის ღირებულების საქონელი 2020 წლის ივნისში გაყიდა 48000 ლარად.

### *ოფციონი*

ოფციონი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტია. ის ფიუჩერსული კონტრაქტის მსგავსია იმით, რომ შეთანხმება იდება ორ მხარეს შორის. ოფციონი მის მფლობელს აძლევს უფლებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი (არა ვალდებულება), წინასწარ განსაზღვრულ მომენტში კონკრეტულ ფასად. ოფციონსა და ფიუჩერსს შორის

განხვავებაა შემდეგში, ის არ ავალდებულებს მყიდველს შეასრულოს ყიდვა-გაყიდვის შესახებ შეთანხმება. მისი განხორციელება დამოკიდებულია მომავალში განვითარებულ მოვლენებზე. ოფციონის შემენა შესაძლებელია როგორც ბირჟაზე, ასევე ბირჯის გარეთ.

წარმოიდგინეთ, რომ ინვესტორი ფლობს 100 ცალ აქციას, რომლის ფასიც 50 აშშ დოლარია. ინვესტორის აზრით, მომავალში აქციების ღირებულება გაიზრდება. ამასთან, ის შემფოთებულია პოტენციური რისკებით და გადაწყვეტს საკუთარი ინტერესები დაიცვას ოფციონით. ამ შემთხვევაში ჰეჯირების მუხლი იქნება აქცია, ჰეჯირების ინსტრუმენტი ოფციონი, ხოლო რისკი აქციის რეალური ღირებულების ცვლილებაა.

ოფციონი აფიქსირებს ფასს. დროის გარკვეულ მონაკვეთში ოფციონის მფლობელს აქვს უფლება წინასწარგანსაზრვრული ფასით განახორციელოს ოპერაცია. ეს ოპერაცია შესაძლოა იყოს ყიდვა ან გაყიდვა. აქედან გამომდინარე, არსებობს ორი სახის ოფციონი:

- ფუტ-ოფციონი (Put Option)- იძლევა პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობას;
- ქოლ-ოფციონი (Call Option)- იძლევა პროდუქტის ყიდვის შესაძლებლობას.

ქოლ-ოფციონი აძლევს თავის მფლობელს უფლებას მომავალში იყიდოს აქტივი, კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ფასად. ქოლ-ოფციონის მყიდველისთვის რისკი განისაზღვრება კონტრაქტის ღირებულებით ანუ პრემიით. აქტივის შესყიდვა შესაძლოა არ განახორციელოს, რადგან არ არის ვალდებული. დანაკარგი კი იქნება გადახდილი პრემია.

ფუტ-ოფციონი აძლევს თავის მფლობელს უფლებას რომ გაყიდოს აქტივი, კონკრეტულ დროში და განსაზღვრულ ფასად. ფუტ-ოფციონის ფლობის რისკი წარმოადგენს პრემიის დაკარგვას, გამოუყენებელი ოფციონის ვადის გასვლის შემდეგ.

აქვს თუ არა ოფციონის მფლობელს გამოუყენოს ის ნებისმიერ მომენტში? არსებობს ოფციონის გამოყენების 2 ვარიანტი. ამერიკული ოფციონი- ამ შემთხვევაში ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ევროპული ოფციონი- ამ შემთხვევაში ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია დროის კონკრეტულ მომენტში. ვადის გასვლის თარიღი- ეს არის თარიღი, როდესაც ოფციონი უნდა შესრულდეს. შესრულების



*ფასი (სტრაკ ფასი)*, არის საქონლის მიწოდების ფასი, რომელსაც ოფციონში არის მითითებული. ის განისაზღვრება კონტრაქტის დადების მომენტში. **სპოტ ფასი ( Spot Price)** არის საბაზო აქტივის ფასი იმ მომენტში, როდესაც ოფციონი განხორციელდება.

ოფციონი არის ფასის არახელსაყრელი ცვლილებისგან გამოწვეული ზარალის თავიდან აცილების ინსტრუმენტი. ინვესტორმა უნდა შეიძინოს ქოლ ოფციონი როდესაც ელოდება აქტივის საბაზრო ფასის გაზრდას. როდესაც მოსალოდნელია აქტივის ფასის ვარდა, ამ შემთხვევაში უნდა შეიძინოს ფუტ-ოფციონი. ოფციონის ფასი, ფიუჩერსის ფასის ნაცვლად განისაზღვრება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების პრინციპით. მყიდველმა ოფციონის შესაძენად უნდა გადაიხადოს ოფციონის ფასი (პრემია, კონტრაქტის ღირებულება). პრემიის გადახდით მყიდველი იხდის რისკის საფასურს და მისი სიდიდე ოფციონის ვადის პირდაპირპროპორციულია. თუ ოფციონი არ შესრულდა პრემია არ უბრუნდება მყიდველს.

ოფციონური გარიგების საბაზო აქტივს შესაძლოა წარმოადგენდეს არა პირველადი, არამედ მეორადი ინსტრუმენტი. მაგალითად, საბაზო აქტივი შესაძლოა იყოს ფიუჩერსული კონტრაქტი. ფიუჩერსული კონტრაქტის საბაზისო აქტივი შესაძლოა იყოს რაიმე საქონელი (მაგ.: ოქრო, ვალუტა, ძვირფასეულობა), ხოლო ეს ფიუჩერსული კონტრაქტი იყოს ოფციონის საბაზისო აქტივი.


როდესაც საწარმო იძენს ოფციონს, ეს არ არის აქტივი. ამ შემთხვევაში ის იძენს შესყიდვის უფლებას. ამიტომ, ბუღალტრულად აისახება მხოლოდ გადახდილი პრემია.[13]

## 2.2 რთული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტების კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს რთული ფინანსური ინსტრუმენტები. მსგავსი ინსტრუმენტის შინაარსი და სამართლებრივი ფორმა ერთმანეთისგან განსხვავდება. როდესაც საწარმო ახდენს მათ კლასიფიკაციას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს მისი შინაარსი და არა სამართლებრივი ფორმა.

შესაძლოა, სამართლებრივი ფორმით ინსტრუმენტი იყოს წილობრივი, მაგრამ შინაარსით წარმოადგენდეს ვალდებულებას ან შესაძლოა ის აერთიანებდეს როგორც წილობრივი ინსტრუმენტის ასევე ვალდებულების თვისებებს. ამიტომ, რთული ფინანსური ინსტრუმენტებისგან მიღებული შემოსავალი უნდა გაიყოს ორად, ბალანში აისახოს საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების მუხლებში. რთული ფინანსური ინსტრუმენტი დაიყოფა შემდეგნაირად (ილუსტრაცია 4):

ილუსტრაცია 4



არსებობს, დაბრუნებადი და არადაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტები. არადაბრუნებადი ინსტრუმენტი არ აძლევს უფლებას ემიტენტს, რომ გამოისყიდოს საკუთარი ინსტრუმენტი ფულით ან რაიმე აქტივით. დაბრუნებადი ინსტრუმენტი ანიჭებს საკუთარ მფლობელს უფლებას, რომ გამოისყიდოს რაიმე თანხით ან აქტივის მიწოდებით. ასევე, შესაძლებელია ემიტენს დაუბრუნდეს იმ შემთხვევაში როდესაც მისი მფლობელი გარდაიცვლება ან პენსიაში გავა.

წილობრივი ინსტრუმენტი

ბასს 32-ში წილობრივი ინსტრუმენტი განმარტებულია შემდეგნაირად: „წილობრივი ინსტრუმენტი“ არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.“[20, განმარტებები, 11].

იმისათვის, რომ ინსტრუმენტი ჩაითვალოს წილობრივად ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- არ უნდა შეიცავდეს სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომ სხვა საწარმოს გადასცეს ფული ან რომელიმე აქტივი (არ არის დაბრუნებადი);
- არ უნდა შეიცავდეს სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომ მფლობელისთვის არახელსაყრელი პირობებით, გაუცვალოს სხვა საწარმოს აქტივი თუ ვალდებულება (არ არის დაბრუნებადი);
- ინსტრუმენტი უნდა დაიფაროს მფლობელის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტით.

წილობრივი ინსტრუმენტის მაგალითებია:

- არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციები;
- ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც საწარმოს ავალდებულებს საკუთარი წილის გადაცემას ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- გარკვეული ტიპის პრივილეგირებული აქციები;
- ვარანტები და ოფციონები.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის ისეთი სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც მისმა მფლობელმა უნდა გადასცეს სხვა საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები. ასევე, გაცვალოს ისინი მისთვის არახელსაყრელი პირობებით. წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, ვალდებულებად შესაძლოა ჩაითვალოს, როდესაც ემიტენტმა უნდა გამოისყიდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი ნაღდი ფულით ან ფინანსური აქტივით (დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი).

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ აქვს უფლება თავი აარიდოს ფულის ან აქტივის გადაცემას სხვა საწარმოსთვის, რათა დაფაროს სახელშეკრულებო ვალდებულება, ის ავტომატურად კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება. მაგალითად, თუ პრივილეგირებული აქცია ითვალისწინებს ემიტენტის მიერ განსაზღვრული თანხით, გარკვეულ პერიოდში მის გამოსყიდვას. თუ პრივილეგირებული აქციის მფლობელმა ვერ შეძლო აქციის გამოსყიდვა იმის გამო, რომ არ ჰქონდა ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა (სახსრების უქონლობა, საკანონმდებლო შეზღუდვები), ეს არ იწვევს ვალდებულების გაუქმებას.

ემიტენტს გააჩნია **არჩევანის უფლება**, გამოისყიდოს ან არ გამოისყიდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი. ის შემთხვევა, თუ არ იყენებს საკუთარ უფლებას რომ აქტივების გადაცემით დაიბრუნოს საკუთარი ინსტრუმენტი, არ კლასიფიცირდება ფინანსური ვალდებულებად. თუ ემიტენტი, თავისი არჩევანის უფლების საფუძველზე, იყენებს უფლებას, რომ აქციების გამოსყიდვის განზრახვით გადასცეს სხვა საწარმოს ფინანსური აქტივი, შემთხვევა კლასიფიცირდება *ფინანსურ ვალდებულებად*.

ამრიგად, ფინანსურ ვალდებულებად ჩაითვლება ვალდებულება თუ შესრულდება შემდეგი პირობები:

- ის უნდა შეიცავდეს სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომ სხვა საწარმოს გადასცეს ფული სახსრები ან რომელიმე აქტივი (დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი);
- უნდა შეიცავდეს სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომ მფლობელისთვის არახელსაყრელი პირობებით, გაუცვალოს სხვა საწარმოს ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება (დაბრუნებადი ფინანსური ინსტრუმენტი);
- ხელშეკრულება უნდა დაიფაროს ემიტენტის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტით.

როგორც უკვე აღვნიშნე, ფინანსურ ინსტრუმენტს შესაძლოა ჰქონდეს როგორც წილობრივი ინსტრუმენტის, ასევე ფინანსური ვალდებულების მახასიათებლები. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის უფლებას აძლევს მფლობელს კონკრეტული

ინსტრუმენტი. მაგალითად, პრივილეგირებული აქციების გამოშვება შესაძლებელია სხვადასხვა უფლებებით. იმისთვის, რომ საწარმომ აღიაროს ის წილობრივი ინსტრუმენტად ან ფინანსურ ვალდებულებად, უნდა შეისწავლოს მისი მფლობელის განსაკუთრებული უფლებები.

ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან საწარმომ სწორად მოახდინოს მათი კლასიფიცირება. მაგალითად, პრივილეგირებული აქციების შინაარსი განისაზღვრება მისი გამოშვების პირობებით, როგორებიცაა, ხმის მიცემის უფლება, დივიდენსი გაცემა, გამოსყიდვის შესაძლებლობა და ა.შ. ჩვეულებრივ, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს, განსხვავებით ჩვეულებრივი აქციებისა, არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, თუმცა გააჩნიათ სხვა უპირატესობები. დივიდენდს იღებენ ფიქსირებული განაკვეთით და შედარებით ნაკლებია, თუმცა მისი მფლობელები დივიდენს რეგულარულად იღებენ. ასევე, საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში პირველად პრივილეგირებული აქციები მფლობელებზე ანაწილებენ დივიდენდებს. არსებობს სხვადასხვა პირობებით გამოშვებული პრივილეგირებული აქციები, რომლითაც გათვალისწინებულია პრივილეგირებული აქციის გამოსყიდვა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, თუ რა პირობებითაა გამოშვებული პრივილეგირებული აქციები, ის შესაძლოა იყოს წილობრივი ინსტრუმენტი ან ფინანსური ვალდებულება.

## თავი 3. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე

### 3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „თიბისი ბანკის“ მაგალითზე

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები, ძირითადად, არიან კომერციული ბანკები. ამიტომ, ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას, პრაქტიკული კუთხით, განვიხილავ სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე.

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნებულია 1992 წელს. ბანკი შექმნილია საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად და წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. თიბისი ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უნივერსალური საბანკო ოპერაციები, ის მოიცავს მცირე და საშუალო კომპანიებისა და კორპორატიულ ოპერაციებს.

„თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის შვილობილი კომპანია, რომელიც არის ლიცენზირებული საბროკერო-დილერი საქართველოში. საქმიანობის სფეროებს წარმოადგენს სავალო და სააქციო ბაზარზე კორპორატიული საკონსულტაციო მომსახურება, ასევე საბროკერო მომსახურება. „თიბისი კაპიტალი“ წარმოადგენს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციონერს და ის საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. თიბისი კაპიტალი 2018 წლიდან ცდილობს სარგებელი მიიღოს კაპიტალის ბაზრიდან, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონებში.

„თიბისი ბანკი“ ყოველთვის იყენებს განახლებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს. წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მან პირველად გამოიყენა ფასს 9, რომელიც მიღებულია 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა ბასს 39 შეცვალა და მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით გამოიყენა ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები). ბანკმა გადაწყვიტა, რომ არ მოეხდინა ძველი პერიოდის ჩასწორება. ეს ნიშნავს, რომ მან მოახდინა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მონაცემების

გადამოწმება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. განსხვავებები, რომელიც გამოწვეული ფასს 9-ის მიღებით აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებაში, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბანკი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებას. ფასს 9 მოითხოვს წილობრივი ინსტრუმენტებისა და ფინანსური აქტივების შეფასებას ბიზნეს მოდელის საფუძველზე რათა კომპანიებმა მართონ ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ბანკი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის იყენებს სხვადასხვა შეფასების მეთოდებს, როგორებიცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელები, კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტიციების მიმღებების ფინანსური მონაცემების ანაზღაურება. ეს მეთოდები გამოიყენება მაშინ როდესაც ხელმიუწვდომელია საბაზრო ფასების ინფორმაცია უცხოურ ბაზარზე. „თიბისი ბანკი“ სამართლიანი ღირებულების ანალიზს ახორციელებს შემდეგი დონეების მიხედვით:

- „პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასებები;
- მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან);
- მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს).“ [10]

ბანკი ინსტრუმენტების თვითღირებულებას განსაზღვრავს აქტივის შექმნისთვის გადაცემული ფულით და ტრანზაქციული დანახარჯებით. ტრანზაქციულ დანახარჯები არის ზღვრული დანახარჯები, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების შექმნასა და გაცემას. ეს დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას თუ საკომისიოს,

რომელსაც განსაზღვრავს მარეგულირებელი სააგენტოები და ფასიანი ქაღალდების ბირჟები.

თიბისი ბანკში ფინანსურ ინსტრუმენტებს თავდაპირველად აღრიცხავენ სამართლიანი ღირებულებით ტრანზაქციული დანახარჯების გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას, თუ არსებობს სამართლიან ღირებულებას და გარიგების ფასს შორის სხვაობა (რაც დასტურდება შეფასებით მეთოდით), სხვაობა აღიარდება მოგებად ან ზარალად. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარდება ფინანსურ აქტივებში.

თიბისი ჯგუფის მიერ აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL);
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI);
- ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია კავშირშია ბიზნეს მოდელზე. ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულია ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელების დონე ბიზნეს-მოდელის შეფასებისას. ბანკი გარიგებების შეფასებისას ითვალისწინებს გარიგებების სიხშირეს, ღირებულებასა და ვადებს. სავაჭრო გარიგებები, რომელთა მიზანს წარმოადგანეს კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს.

აქტივების აღიარებას თიბისი ჯგუფი აუქმებს მაშინ, როდესაც:

- აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე უფლებები შეწყდება, მაგალითად აქტივის გამოსყიდვით;
- როდესაც თიბისი ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივები სხვა ყველა არსებითი რისკითა და სარგებლით;



- როდესაც ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივები სხვას, მაგრამ დაიტოვა კონტროლის უფლება.

თიბისი ბანკი პერიოდულად ახდენს ფინანსური აქტივების გადახედვას სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. მას აქვს შემუშავებული კრიტერიუმები, რომლის შემდეგაც წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, ესენია:

- სახელშეკრულებო ვალუტის შეცვლა;
- ორი ან მეტი სესხის ერთ სესხში გაერთიანება;
- კონტრაგენტის შეცვლა;
- განრიგის არმქონე სესხის შეიცვალა განრიგიანი სესხით და პირიქით;
- საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო.

თიბისი ბანკი აფასებს არის თუ არა ცვლილება თავდაპირველ და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის. რამდენად განსხვავდება აქტივის რისკი და სარგებელი მოდიფიკაციის შემდეგ. თუ ტესტის შედეგად დადგინდა რომ ცვლილება აღემატება 10%-იან ზღვარს, ბანკი წყვეტს სესხის აღიარებას. თუ შედეგი ტოლია ან ნაკლები 10%-ზე, სესხს აფასებენ როგორც მოდიფიცირებულს. თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული და თავდაპირველად აღიარებული აქტივი არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ბანკი არ წყვეტს აქტივის აღიარებას. მოდიფიკაციის შემდეგად გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი ყოველთვის განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL). საკრედიტო ზარალი ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობით შეწონილ ღირებულებას;
- ფულის ღირებულებას დროში;
- ყველა იმ გონივრულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

თიბისი ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს. **I ეტაპი:** ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც თავდაპირველად არ არის გაუფასურებული

კლასიფიცირდება პირველ ეტაპზე. პირველ ეტაპზე არსებულ აქტივებს გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). **II ეტაპი:** თუ ჯგუფი დაადგენს, რომ აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საგრძნობლად გაიზარდა ის გადავა მეორე ეტაპზე. ისეთ შემთხვევაში თუ რისკი საგრძნობლად მცირდება, აქტივი ისევ გადავა პირველ ეტაპზე. **III ეტაპი:** იმ შემთხვევაში თუ არსებობს დეფოლტის რისკი და აქტივს უკავშირდება ერთზე მეტი რისკი, ის გადადის მესამე ეტაპზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და საკრედიტო ზარალის რეზერვის წარმოდგენა ჯგუფისთვის ფასს 9-ის ეტაპების მიხედვით შემდეგია:

ცხრილი 1

ათას ლარში	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	(12 თვიანი ECL)	(ECL ვადა SICR თვის)	(ECL ვადა გაუფასურებული კრედიტისთვის)		(12 თვიანი ECL)	(ECL ვადა SICR-თვის)	(ECL ვადა გაუფასურებული კრედიტისთვის)	
<b>2019 წლის 1 იანვარს</b>	<b>134,977</b>	<b>74</b>	<b>47,302</b>	<b>182,353</b>	<b>13,145</b>	<b>14</b>	<b>14,935</b>	<b>28,094</b>
ტრანსფერები:								
- მოქმედების ვადაში (1 ეტაპიდან და 3 ეტაპიდან მე-2 ეტაპზე)	(21)	23	(2)	-	(4)	4	-	-
- კრედიტით გაუფასურებული (1 ეტაპიდან და 2 ეტაპიდან 3 ეტაპზე)	(55)	(15)	70	-	(1)	(15)	16	-
- 12 თვიანი ECL (2 ეტაპიდან და 3 ეტაპიდან 1 ეტაპზე)	47	(47)	-	-	4	(4)	-	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ცვლილებები ECL შეფასების მოდელის დაშვებებში	-	-	-	-	31	(6)	(41)	(16)
აღიარება შეწყვეტილი პერიოდის განმავლობაში	(115,851)	(11)	(30,852)	<b>(146,714)</b>	(16,644)	13	(2,255)	<b>(18,886)</b>
მშინდა დაფარვები	4,565	-	(1,134)	<b>3,431</b>	-	-	-	-
მშინდა ჩამონერები	-	-	-	-	-	-	-	-
FX დინამიკა	123	1	1,130	<b>1,254</b>	-	-	-	-
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>129,539</b>	<b>25</b>	<b>16,514</b>	<b>146,078</b>	<b>18,206</b>	<b>6</b>	<b>12,655</b>	<b>30,867</b>

„თიბისი ბანკი“ მუდმივად ახორციელებს სესხების მონიტორინგს. მათ კოლექტიურად აფასებს ჩამოწერისთვის და კრიტერიუმად იყენებს გადაცილებული დღეების რაოდენობას. სესხი ფასდება ინდივიდუალურად, რომელიც დამოკიდებულია სესხების სეგმენტზე და პროდუქტის ტიპზე. 2018 წლის განმავლობაში კლიენტზე გაცემული სესხები, რომელიც ჩამოიწერა ნაწილობრივ ან სრულად, მაგრამ კვლავ ექვემდებარება

ამოღებას იყო 96 მილიონი ლარი (ძირითადი თანხა), ხოლო დარიცხული პროცენტი 18 მილიონი ლარი. რაც შეეხება ბალანსგარეშე ჯარიმას იყო 92 მილიონი ლარი.

თიბისი ბანკი 2018 წლის 1 იანვრიდან იყენებს ფასს 9-ს ნაცვლად ბასს 39-ისა. განვიხილავ ცხრილს, რომელშიც ნათლად ჩანს სტანდარტებს შორის განსხვავება. ცხრილ 1-ში ერთმანეთს დარდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისადაა განსაზღვრული.

ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, ახალი სტანდარტის მიღებით გამოწვეულია ფინანსური აქტივების მთლიანი რეზერვის დონეში ცვლილება, რომელიც უდრის 67,700 ათას ლარს. ამ თანხიდან 4,100 ათასი ლარი არის ვალდებულებებისა და ვალდებულებების შესრულების გარანტიების კონტრაქტების რეზერვი, რომელიც გამოწვეულია 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლით. შედეგად, მთლიანი რეზერვი გაიზარდა 63600 ათასი ლარით, რომელიც კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია როგორც გაუნაწილებელი მოგება. ამ თანხასთან დაკავშირებული საგადასახადო თანხაც აღიარებულია საგადასახადოს კოდექსის შესაბამისად.

## ცხრილი 2

ათას ლარში	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39 [ბალანსის დახურვა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის]	გადაფასება ECL ეფექტი	საბალანსო ღირებულება ფასს 9 [საწყისი ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისთვის 2018]
	ბასს 39	ფასს 9			
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>	სესხები და დებიტორული დავალიანებები	ამორტიზირებული ღირებულება	1,431,477	491	1,430,986
<b>სავალდებულო ფულადი ნაშთი სებ-ში</b>	სესხები და დებიტორული დავალიანებები	ამორტიზირებული ღირებულება	1,033,818	-	1,033,818
ინვესტიცია სავალო ფასიან ქალაქებში	გასაყიდად არსებული სესხები და დებიტორული დავალიანებები	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	656,234	1,051	655,183
ინვესტიცია სავალო ფასიან ქალაქებში	სესხები და დებიტორული დავალიანებები	ამორტიზირებული ღირებულება	449,538	628	448,910
<b>სულ ინვესტიცია სავალო ფასიან ქალაქებში</b>			1,105,772	1,679	1,104,093
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქალაქებში	გასაყიდად არსებული	სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში	1,704	-	1,704
<b>სულ ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქალაქებში</b>			1,704	-	1,704
<b>სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები</b>	სესხები და დებიტორული დავალიანებები	ამორტიზირებული ღირებულება	39,643	36	39,607
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	ამორტიზირებული ღირებულება	8,325,353	63,731	8,261,622
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>			8,325,353	63,731	8,261,622
ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში	ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებები	ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებები	143,836	739	143,097

<b>სულ ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში</b>		<b>143,836</b>	<b>739</b>	<b>143,097</b>
სხვა ფინანსური აქტივები სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	146,144	1,019	145,125
<b>სულ სხვა ფინანსური აქტივები</b>		<b>146,144</b>	<b>1,019</b>	<b>145,125</b>
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>		<b>12,227,747</b>	<b>67,695</b>	<b>12,160,052</b>

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში რეკლასიფიცირებულია ფასს 9-ით გათვალისწინებულ ახალ კატეგორიაში. თიბისი ბანკმა ამოიღო შეფასებიდან ბასს 39-ით გათვალისწინებული წინა კატეგორიები, რომლებიც კლასიფიცირებული იყო:


- როგორც გასაყიდად გამიზნული და ახლა შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით;
- როგორც სესხი და დებიტორული დავალიანება და ახლა შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში- თიბისი ჯგუფის გადაწყვეტილებით წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოხმობა არ მოხდა ახალ სტანდარტზე გადასვლის შემდეგ. ბანკმა განსაზღვრა ახალი სტრატეგია საინვესტიციო პორტფელში და წილობრივი ფასიანი ქაღალდები შეაფასა სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში (FVOCI) ასახვით.

კლიენტზე გაცემული სესხები და ავანსები- კლიენტებზე გაცემული ყველა სახის სესხი და ავანსები რეკლასიფიცირებულია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასის კატეგორიიდან, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში. თიბისი ბანკი არ ფლობს ისეთ ავანსებსა და სესხებს რომელიც არ აკმაყოფილებს SPPI მოთხოვნას.

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით არსებული გაუფასურების რეზერვი განსხვავდება 2018 წლის 1 იანვარს არსებული საკრედიტო ზარალის რეზერვისგან. განსხვავება ლოგიკურია, რადგან მოხდა სტანდარტის ცვლილება. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა 1, რომელშიც შედგენილია დანართ 2-ში მოცემული ცხრილი 6-ის მიხედვით. წინა პერიოდის გაუფასურების ზარალი შეფასებულია დამდგარი ზარალის მოდელით (ბასს 39), ხოლო ახალი პერიოდის ზარალი შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის (ფასს 9) შესაბამისად.

დიაგრამა 1



ახალი სტანდარტით აღიარებული საკრედიტო ზარალი შემცირებულია 4 100 ათასი ლარით.

თიბისი ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

- თამასუქებს;
- ობლიგაციებს;
- სადეპოზიტო სერტიფიკატებს;
- სავალო ვალდებულებებს.

თიბის ბანკის მიერ ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებია:

- სავალუტო კონტრაქტები;
- პროცენტული ფიუჩერსები;
- მომავალი საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები;
- სავალუტო და საპროცენტო სვოპები;
- სავალუტო და საპროცენტო ოფციონები.


თიბისი ბანკი ყველა წარმოებულ ინსტრუმენტს, რომლის სამართლიანი ღირებულებაც დადებითია აღრიცხავს როგორც აქტივს. ხოლო, როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია როგორც- ვალდებულებას.

ბანკის მიერ ფლობილი ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. ის ხარჯები, რომელიც უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას კაპიტალში ნაჩვენებია როგორც შემოსავლიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე.

თიბისი ბანკს ასევე გააჩნია გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ქაღალდები. ამგვარი ინსტრუმენტები შეძენილია იმისთვის რომ გარკვეული მიზეზების გამო უნდა გაიყიდოს. ასეთ მიზეზებს მიეკუთვნება: ლიკვიდურობის შენარჩუნება, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, კაპიტალისა და გაცვლითი კურსის ცვლილება და ა.შ. საპროცენტო შემოსავალი, რომელსაც იღებს მსგავსი ქაღალდებისგან აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარდება წლის მოგება-ზარალში. თიბისი ბანკი მუდმივად ახორციელებს ფასიანი ქაღალდების მონიტორინგს, იმ შემთხვევაში თუ თვითღირებულება შემცირდა, მიღებული ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების შემცირება მის მიმდინარე ღირებულებასთან შედარებით, არის მისი გაუფასურების ინდიკატორი.

„თიბისი ბანკი“ ფლობს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დინამიკა 2016-2019 წლების განმავლობაში მოცემულია დიაგრამა 2-ში.

დიაგრამა 2



2018 წლის 1 იანვარს ჯგუფის მიერ განსაზღვრული ინვესტიციები კორპორატიულ აქციებში, რომელიც დიაგრამაზეა მოცემული შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში (FVOCI) ასახვით. ხოლო 2017 და 2016 წლის ინვესტიციები კლასიფიცირებულ იქნა როგორც AFS. ინვესტიციები განისაზღვრა FVOCI-ით იმიტომ, რომ ისინი ფლობილია კონკრეტული სტრატეგიული მიზნებისთვის და არა გაყიდვისთვის მოგების მიღების მიზნით. თიბისი ბანკი არ გეგმავს ინვესტიციების გასხვისებას მოკლე ან საშუალო ვადებში. 2018 წლის ბოლოს გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, რომელიც იყო 613 466 ათასი ლარის ღირებულების, ბანკმა დააგირავა ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბანკებში. 2017 წელს აღნიშნული მონაცემი იყო 424 892 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს 205 216 ათასი ლარი. დინამიკა აჩვენებს, რომ ინვესტიციები ადგილობრივ ინსტიტუტებში ხასიათდება ზრდადი ტენდენციით. სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით, არ არის ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.



თიბისი ბანკმა გამოუშვა აქციები, რომლის შესყიდვაც შეეძლოთ თანამშრომლებს. თითოეული თანამშრომელი, რომელიც შეიძენს ბანკის აქციებს, ხდება აქციონერი და შეუძლია მიიღოს დივიდენდი, იმ შემთხვევაში თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ დატოვებს ბანკს. ცხრილ 4-ში მოცემულია 2016-2018 წლებში გამოშვებული აქციები, რომელიც რეგისტრირებულია თანამშრომლების სახელზე.

### ცხრილი 3

ათას ლარში გარდა აქციების რაოდენობისა	გამოშვებული აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი	აქციაზე პრემია	სულ
<b>2016 წლის 1 იანვარს</b>	49,529,463	19,811		
წილობრივი ინსტრუმენტების შესაბამისად თანამშრომლის სახელზე სახელობითი აქციების რეგისტრაცია	525,456	210		
ხელახლა შესყიდული და გაუქმებული აქციები	[94,553]	[38]	[3,457]	[3,495]
ახალი გამოშვებული აქციები	2,578,649	1,031	98,969	100,000
<b>2016 წლის 31 დეკემბერს</b>	52,539,015	21,014	521,161	542,175
ახალი გამოშვებული აქციები	754	0.3	29	29
<b>2017 წლის 31 დეკემბერს</b>	52,539,769	21,014	521,190	542,204
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	52,539,769	21,014	521,190	542,204

2016 წლის 31 დეკემბერს თიბისი ბანკს გამოშვებული ჰქონდა 52 539 015 აქცია 0,4 ლარის ნომინალური ღირებულების. 2017 წელს გამოუშვა 754 ახალი აქცია და 2018 წლის 31 დეკემბერს, ბანკის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობამ შეადგინა 52 539 769. აქციების ნომინალური ღირებულება სამივე წელიწადს იყო 0,4 ლარი. ყველა აქცია სრულად არის გადახდილი და მის მფლობელს აქვს უფლება მიიღოს დივიდენდი.


თიბისი ბანკი ყოველწლიურად მართავს საერთო კრებას. 2018 წლის 21 მაისს ყოველწლიურ კრებაზე აქციონერები შეთანხმდნენ, რომ თითოეულ აქციაზე დივიდენდი იქნება 1,82 ლარი. დივიდენდი დაფიქსირდა 2018 წლის 14 ივნისს და აქციონერებმა მიიღეს 95 626 ათასი ლარის დივიდენდი. 2017 წელს გაცემული დივიდენდი ერთ აქციაზე იყო 1,49 ლარი, ხოლო 2016 წელს გაცემული დივიდენდი- 1,09 ლარი.

თიბისი ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რათა მართოს თავისი სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების რისკები. წარმოებული ფინანსური



ინსტრუმენტების სტრუქტურა და დინამიკა, რომელიც ასევე ლიკვიდურობის მართვისთვის გამოიყენება ბანკის მიერ მოცემულია დიაგრამა 3-ში.

დიაგრამა 3



დიაგრამაში მოცემული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტული საკონტრაქტო პირობებით, რომელსაც ფლობს თიბისი ჯგუფი ივაჭრება ისეთ ბაზარზე, რომელზეც არ არის პროფესიონალური მოწინააღმდეგე მხარეები. ინსტრუმენტებს აქვს როგორც პოტენციურად არახელსაყრელი (ვალდებულებები), ასევე პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) პირობები. მათ ბანკი იყენებს საპროცენტო და სავალუტო განაკვეთების ჰეჯირებისთვის. პერიოდულად შესაძლოა მერყეობდეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მთლიანი სამართლიანი ღირებულება.

### 3.2 ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხები სს „საქართველოს ბანკის“ მაგალითზე

სს „საქართველოს ბანკი“ დაარსდა 1994 წლის 21 ოქტომბერს. ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს საქმიანობას.

„საქართველოს ბანკმა“ 2018 წლიდან მიიღო სტანდარტი ფასს 9. ის თავის ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასა და აღიარებს ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ბანკი ფინანსური აქტივების შეფასება/კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით შემდეგნაირად:

- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით;
- ამორტიზებული ღირებულებით.


ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ან სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით თუ ეს ვალდებულებები არ არის განკუთვნილი.

საქართველოს ბანკი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით. იმ შემთხვევაში, როცა თავდაპირველად ვერ ხერხდება სამართლიანი ღირებულებით შეფასება და ვერ ასახავენ მოგება-ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯებით. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ: • თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ჯგუფი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც შემოსულობას ან ზარალს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას შემოსულობად ან ზარალად აღიარებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას წარმოშობს ისეთი ფაქტორის (დროის ჩათვლით) ცვლილება, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ აქტივის თუ ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

დიაგრამა 4-ში მოცემულია საქართველოს ბანკის მიერ ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და დინამიკა 2017-2019 წლებში.

დიაგრამა 4




წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის ლიმიტი ყოველთვის უტოლდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ, დადებითი სამართლიანი ღირებულების მქონე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ნაწილი კოტირებული წილობრივი და სავალო

ფასიანი ქაღალდებია. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასწარმოქმნის მოდელით, შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სასესხო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. არადაკვირვებადი მონაცემი მოიცავს ვარაუდს ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური საქმიანობის და მისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ, ასევე მოიცავს ეკონომიკურ ვარაუდს მრეწველობის და გეოგრაფიული იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ფუნქციონირებს ინვესტიციის ობიექტი.

დიაგრამა 5-ში მოცემულია მოცემულია სს „საქართველოს ბანკის მიერ ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა და დინამიკა. ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციებს დიდი წილი უჭირავს საინვესტიციო პორტფელში.

დიაგრამა 5



## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა: მათი კლასიფიკაცია, აღრიცხვა და შეფასება. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, 2018 წლის იანვარში, მიღებულმა ახალმა სტანდარტმა- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. ნაშრომში გაანალიზებულია ის შედეგები, რომელიც ახალი სტანდარტით არის გამოწვეული კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ნაშრომში განხილული მაგალითებითა და მიმოხილვებით დასტურდება, რომ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს საკმაოდ აქტიურად იყენებენ კომპანიები, რისკებისგან თავის ასარიდებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების შესწავლამ, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე, თეორიაზე დაფუძნებულმა პრაქტიკულმა მიმოხილვამ და გაანალიზებამ დაგვანახა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების როლი და მნიშვნელობა უდიდესია ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო თეორიულად განხილული საკითხები გაგვემყარებინა რეალური მაგალითებით. სს „თიბისი ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების განხილვით გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად აღრიცხავს კომერციული ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ასევე, როგორია ინსტრუმენტების რაოდენობრივი დინამიკა წლების მიხედვით ბანკში.

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხების განხილვა-გაანალიზებით, ასევე სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბასს 39-დან ფასს 9-ზე გადასვლით სს „თიბისი ბანკსა“ და სს „საქართველოს ბანკში“ შეიცვალა ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და შეფასების მეთოდები;

- ფასს 9-ის მიღების შედეგად, „თიბისი ბანკს“ საკრედიტო ზარალი შეუმცირდა, ვინაიდან შეიცვალა შეფასების მეთოდები;
- სს „თიბისი ბანკისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ხასიათდება ზრდადი დინამიკით. რაც მიანიშნებს, რომ ბანკი ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, საპროცენტო და სავალუტო განაკვეთების დასაზღვევად აქტიურად იყენებენ ჰეჯირებას.
- სს „თიბისი ბანკი“, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყოველთვის განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მუდმივად ახდენს სესხების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის რეკლასიფიკაციას.

სამაგისტრო ნაშრომის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა, კორონავირუსის პანდემიის გავლენის შეფასება ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე. კორონავირუსის უარყოფითი გავლენა არასასურველია ნებისმიერი სფეროსთვის. აქციების ფასი კრიზისების პერიოდში ძალიან მგრძობიარეა. ბლუმბერგის მონაცემებზე დაყრდნობით, თებერვლის თვიდან ყველა მნიშვნელოვანი ინდექსის მნიშვნელობა იკლებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

### Bibliography

1. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, თბ. 2019; პარლამენტი.
2. ბასს 39-„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, 2017 წელი.
3. ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, 2018 წელი.
4. ფასს 9-„ფინანსური ინსტრუმენტები“, 2018 წელი.
5. ავტორთა კოლექტივი. (2017). *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. ასლანიშვილი დ., სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები, თბ. 2015;
7. ასლანიშვილი დ. „საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და გაურკვეველი მომავალი“ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, მე-6 გამოცემა, დეკემბერი, თბ., 2014
8. დუშუაშვილი, თ. (2020, აპრილი 2). <http://www.parliament.ge>. Retrieved from <http://www.parliament.ge>: [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136006/კორონავირუსის\\_შესაძლო\\_გავლენა\\_მსოფლიო\\_ეკონომიკაზე](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136006/კორონავირუსის_შესაძლო_გავლენა_მსოფლიო_ეკონომიკაზე).
9. კვატაშიძე, ნ. (2019). In ნ. კვატაშიძე, *კორპორაციული ანგარიშგება* (p. 70). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება 2018. (2018). მოპოვებული [https://gse.ge/upload/TBC\\_2018\\_961b3763.pdf](https://gse.ge/upload/TBC_2018_961b3763.pdf)-დან
11. მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება 2019. (2019). მოპოვებული [https://www.nbg.gov.ge/uploads/banks/2019\\_udit/geo/tbc.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/banks/2019_udit/geo/tbc.pdf)-დან
12. სს „საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019. (2019). მოპოვებული [https://www.nbg.gov.ge/uploads/banks/2019\\_udit/geo/bog.PDF](https://www.nbg.gov.ge/uploads/banks/2019_udit/geo/bog.PDF)-დან



13. სრესელი, ნ. *tsu.ge*. Retrieved from *tsu.ge*:  
<http://eprints.tsu.ge/980/1/წარმოებული%20ფინანსური%20ინსტრუმენტების%20ადრიცხვის%20საკითხები.pdf>
14. ტომარაძე, ლ. (2019). <https://www.academia.edu>. Retrieved from <https://www.academia.edu>:  
[https://www.academia.edu/16267954/წარმოებული\\_ფინანსური\\_ინსტრუმენტები](https://www.academia.edu/16267954/წარმოებული_ფინანსური_ინსტრუმენტები)
15. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა. (2019). In ნ. კვატაშიძე, *კორპორაციული ანგარიშგება* (p. 88). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2019.
16. ბუღალტრული აღრიცხვის საბჭო, (2020, March 27). <https://cdn.ifrs.org>. Retrieved from <https://cdn.ifrs.org>: <https://cdn.ifrs.org/-/media/feature/supporting-implementation/ifrs-9/ifrs-9-ecl-and-coronavirus.pdf>
17. Financial, T. C. <https://www.accaglobal.com>. Retrieved from <https://www.accaglobal.com>: <https://www.accaglobal.com/ie/en/student/exam-support-resources/fundamentals-exams-study-resources/f7/technical-articles/what-financial-instrument.html>
18. <http://www.nplg.gov.ge>..(2010) Retrieved from <http://www.nplg.gov.ge>:  
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16283>.
19. <https://annualreporting.info>. (2019, 08 06). Retrieved from <https://annualreporting.info>:  
<https://annualreporting.info/category/ifrs-9-financial-instruments/ifrs-9-financial-instruments-measurement/>
20. <https://saras.gov.ge>. (2020, May 29). Retrieved from <https://saras.gov.ge>:  
<https://saras.gov.ge/ka/ifrs/Pdf/365>
21. <https://www.accaglobal.com>. (2017, October). Retrieved from <https://www.accaglobal.com>: <https://www.accaglobal.com/in/en/student/exam-support-resources/professional-exams-study-resources/strategic-business-reporting/technical-articles/ifrs-9.html>
22. <https://www.geoforex.info>. (2015, August 11). Retrieved from <https://www.geoforex.info>:  
<https://www.geoforex.info/safondo-birja/1425-fasiani-qaraldebis-saxeobebi-wilobrivi-fasiani-qaraldebi>
23. <https://www.geoforex.info>. (2016, 06 27). Retrieved from <https://www.geoforex.info>:  
<https://www.geoforex.info/cnebebi/707-finansuri-instrumenti-derivatives>



24. <https://www.nexia-sabt.co.za>. (2015). Retrieved from <https://www.nexia-sabt.co.za>: <https://www.nexia-sabt.co.za/sabtips/2015/ifrs-9-financial-instruments-classification-and-measurement/>
25. <https://www2.deloitte.com>. (2020, April 4). Retrieved from <https://www2.deloitte.com>: <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/de/Documents/about-deloitte/COVID-19-Financial-instruments-IFRSs-and-COVID-19-Fact-Sheet.pdf>
26. OBADULLAH JAN, <https://xplained.com>. (2016, May 3). Retrieved from <https://xplained.com>: <https://xplained.com/695414/amortized-cost>, 2016
27. [library.croneri.co](http://library.croneri.co). (2019). Retrieved from [library.croneri.co](http://library.croneri.co): [https://library.croneri.co.uk/cch\\_uk/igaap-vb/b2-5-1](https://library.croneri.co.uk/cch_uk/igaap-vb/b2-5-1)
28. SILVIA. (2014, MAY). <https://www.ifrsbox.com>. Retrieved from <https://www.ifrsbox.com>: <https://www.ifrsbox.com/difference-fair-value-hedge-cash-flow-hedge/>
29. SILVIA. (2020). <https://www.ifrsbox.com>. Retrieved from <https://www.ifrsbox.com>: <https://www.ifrsbox.com/coronavirus-ifrs/>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University



Ina Gogelashvili

Issues of accounting for financial instruments in the example of  
TBC Bank and Bank Of Georgia

Faculty of Economic and Business

Specialty: Business Administration

Module: Accounting and auditing

Mentor: Associate Professor

Nadezhda Kvatashidze

Tbilisi, 2020

## დანართი 2

სს „თიბისი ბანკის“ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში-2016-2018 წლები.

### ცხრილი 4

ათას ლარში	2018	2017	2016
კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდები	549,477	328,761	150,073
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	373,447	319,745	241,810
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	14,985	7,728	36,002
საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	1,016
ნიდერლანდების სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	66,760	-	-
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,136)	-	-
<b>სულ სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>1,003,533</b>	<b>656,234</b>	<b>428,901</b>
კორპორატიული აქციები – არაკვოტირებული	1,706	1,704	1,802
<b>სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, შეფასებული სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში</b>	<b>1,005,239</b>	<b>657,938</b>	<b>430,703</b>

სს „თიბისი ბანკის“ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში-2018-2019 წლები.

### ცხრილი 5

ათას ლარში	2019	2018
კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდები	611,694	549,477
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	330,096	373,447
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	40,346	14,985
უზბეკეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	1,596	-
ნიდერლანდების სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	-	66,760
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,438)	(1,136)
<b>სულ სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>982,294</b>	<b>1,003,533</b>
კორპორატიული აქციები – არაკვოტირებული	2,999	1,706
<b>სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, შეფასებული სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში</b>	<b>985,293</b>	<b>1,005,239</b>

ცხრილი 6

ათას ლარში	რეზერვი ბასს 39 ან ბასს 37-ის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბერს.	აფექტი	
		გადაფასება დამდგარი ზარალიდან მოსალოდნელ ზარალამდე	საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს 9-ის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს.
<b>სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორია</b>			
- ფული და ფულის ექვივალენტები	-	491	491
- ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში	-	1,679	1,679
- სახსრები სხვა ბანკებში	-	36	36
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	227,864	63,731	291,595
- ინვესტიციების ფინანსურ იჯარაში	1,498	739	2,237
- სხვა ფინანსური აქტივები	18,020	1,019	19,039
<b>კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები</b>	<b>13,200</b>	<b>(4,100)</b>	<b>9,100</b>

თიბისი ბანკი ფინანსური ანგარიშგება 2018

სს „თიბისი ბანკის“ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები 2016-2018 წლებში.

ცხრილი 7

ათას ლარში	2018	2017	2016
გადახდილი ვალუტის სვოპების, მათ შორის სხვა ფინანსური აქტივების ან სხვა ბანკებში თანხების სამართლიანი ღირებულება	1,370	1,767	508
სავალუტო ფორვარდებისა და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპ ოპერაციების სამართლიანი ღირებულება მათ შორის სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2,030)	(909)	(320)
საპროცენტო განაკვეთის სვოპების, მათ შორის სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	-	(267)	(1,055)
<b>სულ</b>	<b>(660)</b>	<b>591</b>	<b>(867)</b>

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები 2018-2019 წლებში

ცხრილი 8

ათას ლარში	2019	2018
გადახდილი ვალუტის სვოპების, მათ შორის სხვა ფინანსური აქტივების ან სხვა ბანკებში თანხების სამართლიანი ღირებულება	5,848	1,370
სავალუტო ფორვარდებისა და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპ ოპერაციების სამართლიანი ღირებულება მათ შორის სხვა ფინანსური ვალდებულებები	(20,440)	(2,030)
საპროცენტო განაკვეთის სვოპების, მათ შორის სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	-	-
<b>სულ</b>	<b>(14,592)</b>	<b>(660)</b>

სს „საქართველოს ბანკის“ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 2017-2019 წლებში

ცხრილი 9

	2019	2018	2017
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	1,758,235	1,932,087	n/a
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც განიხილება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი ინსტრუმენტები	2,788	466	n/a
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	n/a	n/a	1,613,759
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>1,761,023</b>	<b>1,932,553</b>	<b>1,613,759</b>
	2019	2018	2017
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	647,886	899,024	n/a
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები**	120,519	100,111	n/a
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები უცხოურ ვალუტაში	66,961	7,762	n/a
ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები	8,912	63,394	n/a
სხვა სავალო ინსტრუმენტები***	913,957	861,796	n/a
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები</b>	<b>1,758,235</b>	<b>1,932,087</b>	<b>n/a</b>
	2019	2018	2017
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	n/a	n/a	847,839
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები**	n/a	n/a	77,460
ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები	n/a	n/a	73,415
სხვა სავალო ინსტრუმენტები***	n/a	n/a	614,844
კორპორაციული აქციები	n/a	n/a	201
<b>გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>n/a</b>	<b>n/a</b>	<b>1,613,759</b>

სს საქართველოს ბანკის მიერ გამოყენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები 2017-2019 წლებში

ცხრილი 10

	2018			2017		
	პირობითი თანხა	მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი	სამართლიანი ღირებულება ვალდებულება	პირობითი თანხა	მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი	სამართლიანი ღირებულება ვალდებულება
<b>სავალუტო ხელშეკრულებები</b>						
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივ ვალუტაში	721,906	3,110	981	370,523	3,039	1,958
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	1,920,039	19,811	4,228	227,585	1,576	534
<b>საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები</b>						
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	1,109,990	12,636	6,360	777,660	7,368	-
ოფციონები - უცხოურ ვალუტაში	-	-	-	10,183	1,501	1,456
<b>სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები</b>	<b>3,751,935</b>	<b>35,557</b>	<b>11,569</b>	<b>1,385,951</b>	<b>13,484</b>	<b>3,948</b>

	2019		
	პირობითი თანხა	მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი	სამართლიანი ღირებულება ვალდებულება
<b>სავალუტო ხელშეკრულებები</b>			
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივ ვალუტაში	797,784	5,620	1,242
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	5,482,178	26,373	7,680
<b>საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები</b>			
ოფციონები - უცხოურ ვალუტაში	8,351	2,566	1,914
<b>სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები</b>	<b>6,288,313</b>	<b>34,559</b>	<b>10,836</b>

\*